ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## ჯანდარის ტბაზე გიორგი ქველაძის და ირაკლი ბოჭორიძის ცხედრები იპოვეს



გვ.5

3 დეკემბრიდან
რჩეული საბავშვო მოთხრობები
წიგნი I-II
ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი




ხუთშაბათი, 5 დეკემბერი, 2019 №288 (8242) ფასი: 60 თეთრი

# პროკურორი გუბელაძე: „ნიკა გვარამიას მანქანას 2 დღის განმავლობაში ვუთვალთვალებდით“



გვ.5

## ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობის გამო გერმანია 2 რუს დიპლომატს ქვეყნიდან აძევებს





გვ.5

მკვლელი ორმა მოზარდმა მდინარესთან შენიშნა და პოლიცია გამოიძახა

## მურმან დუმბაძე: „ივანიშვილმა უნდა აირჩიოს შევარდნაძის, აბაშიძის ან სააკაშვილის გზა“

„ცხოვრების ნახევარი საბჭოთა კავშირში გავატარე, მეორე ნახევარი – რუსთაველზე“

გვ.4





## გიგლა ბარამიძე: „ქართული ოცნების“ სტილია უნიჭო შავი პიარი“

გვ.4



## ლევან ხაბეიშვილი: „ჩვენგან ერთი ნასროლი კვერცხი გინახავთ?“

გვ.3

„ჩვენთან დგას განათლებული, ლაღი ახალგაზრდობა, რომელიც თავისუფალ არჩევანს ითხოვს. იქით კი დგანან მოძალადე საჯარო მოხელეები“

გვ.3

## თაკო ჩარკვიანი: „შარვლიანი პუტინი იქნება საქართველოში თუ კაბიანი, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს“



ISSN 1987-9385

5 ზურაბ ბუდაღაშვილის სურვილის შემთხვევაში, მასთან საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდება

2 ფატუ ბენსუდა: „რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე შედეგი 2020 წლის ბოლომდე დადგება“

5 ადვოკატი თოდუა: „ვწუხვარ, რომ სხდომას არ ესწრებოდა ზაზა სარალიძე“

6 პოლიტიკური ტერორი რუსეთში

# ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობის გამო გერმანია 2 რუს დიპლომატს ქვეყნიდან აძევებს

## მკვლელი ორმა მოზარდმა მდინარესთან შენიშნა და პოლიცია გამოიძახა



გერმანიამ საქართველოს მოქალაქის, ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით ქვეყნიდან 2 რუსი დიპლომატის გაძევების გადაწყვეტილება მიიღო.

რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები პერსონა ნონ-გრატად გამოცხადდნენ და მათ გერმანიის ტერიტორია 7 დღის განმავლობაში უნდა დატოვონ.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაწყვეტილების მიზეზსაც ასახელებს – ხანგოშვილის მკვლელობის გამოძიებასთან არასაკმარისად აქტიური თანამშრომლობა. სამინისტროს განცხადების მიხედვით, საგამოძიებო ორგანოები ეჭვობენ, რომ მკვლელობა რუსეთის ხელისუფლების, ან ჩეჩნეთის ხელმძღვანელობის მითითებით შესრულდა.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთს ოფიციალური ნოტით მიმართავს, საქმესთან დაკავშირებით გერმანიის გენერალურ პროკურატურას ყველა შესაძლო გზით დაეხმარონ.

საქმის გამოძიებას ბერლინელი სამართალდამცველებისგან გერმანიის ფედერალური პროკურატურა გადაიბარებს.

### ვინ არის მკვლელი

საქართველოს მოქალაქე, ეთნიკურად ქისტი ხანგოშვილი, ბერლინის ცენტრში აგვისტოში მოკლეს. მას სამი ტყვია ესროლეს, ერთ-ერთი თავის არეში მოხვდა.

საგამოძიებო ჯგუფი „ბელინგკეტი“ წერს, რომ მკვლელი, რომელიც ბუჩქებში იმალებოდა, მსხვერპლს გამოჩენისთანავე ელექტროველოსიპედით გაეკიდა და ცეცხლი გაუხსნა. შემთხვევის ადგილიდან მალევე მიიმალა და სცადა, იარაღი მდინარე შპრეეში გადაეგდო.

მისი საეჭვო ქმედება მდინარესთან ახლოს ორმა მოზარდმა შენიშნა და პოლიცია გამოიძახა. ხანგოშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამართალდამცველებმა რამდენიმე წუთში დააკავეს – ის ტურისტების ნაკადში მიმალვას ცდილობდა.

თავდამსხმელის ზუსტი ვინაობა ცნობილი არ არის. ის ევროპაში ვადიმ ანდრეის ძე სოკოლოვის სახელით, არაბიომეტრული პასპორტით ჩაფრინდა. „ბელინკეტმა“ გერმანულ ჟურნალ „შპიგელთან“ და რუსულ „ინსაიდერთან“ ერთად ჩატარებული გამოძიების შედეგად მოიპოვა ინფორმაცია, რომ რუსეთის მონაცემთა ბაზებში ასეთი ადამიანი არ იძებნება. სავარაუდოდ, მამაკაცმა მოგზაურობისთვის ყალბი საბუთები გამოიყენა.

„შპიგელის“ მიერ მოპოვებული ცნობით კი, ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილის იდენტიფიცირება უკვე მოხერხდა და ის რუსეთის 54 წლის მოქალაქე ვადიმ კრასიკოვია.

მასზე 2014 წელს საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა – კრასიკოვი მოსკოვში ბიზნესმენის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. „ბელინკგეტის“ გამოძიების ანგარიშში ნათქვამია, რომ 2013 წელს მოსკოვში მომხდარი მკვლელობა ძალიან ჰგავს ხანგოშვილისას – ორივე შემთხვევის დროს მკვლელი მსხვერპლს ველოსიპედით აედევნა, ჭრილობები ერთსა და იმავე ადგილას მიაყენა და მოსკოვშიც და ბერლინშიც ველოსიპედითვე მიიმალა.



### რას ფიქრობენ პანკისში

საქმის გამოძიებას რომ ფედერალური პროკურატურა გადაიბარებს, ხანგოშვილის ოჯახს უკვე შეატყობინეს.

მოკლულის ძმა, ზურაბ ხანგოშვილი „კურიერთან“ ამბობს, რომ მას ადვოკატი ესაუბრა.

– რატომ აჭიანურებდნენ ამ საქმეს, საკუთარი პოლიტიკური ანგარიშები თუ ჰქონდათ რუსეთთან, მე არ ვიცი, – განაცხადა ხანგოშვილმა.

მკვლელობასთან რუსეთის კავშირზე საუბრობენ პანკისის ხეობაშიც.

– წლების განმავლობაში ზელიმხანი რომ რუსული სპეცსამსახურების სამიზნე იყო, არავისთვის არის უცხო. არ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე ეთნიკური ჩეჩენის, თუნდაც რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლის ნამოქმედარი იყოს. კვალი მიდის რუსულ სპეცსამსახურებამდე, – ამბობს „კურიერთან“ ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი მექა ხანგოშვილი.

### რა მიზეზი შეიძლებოდა ჰქონოდა რუსეთს ხანგოშვილის მოსაკლავად

„ბელინგკეტი“ აღნიშნავს, რომ ხანგოშვილი მოსკოვმა დიდი ხნის წინ მტრად გამოაცხადა. ის რუსეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ 1999-2002 წლებში ჩეჩნეთის ომში იბრძოდა, ამის შემდეგ კი დაუფარავად უჭერდა მხარს ჩეჩენ სეპარატისტებს.

2012 წელს ლოპოტის ხეობაში მომხდარი ინციდენტის დროს ზელიმხან ხანგოშვილი ისლამისტებსა და საქართველოს უშიშროების ძალებს შორის მოლაპარაკებაში იყო ჩართული.

ხანგოშვილს საქართველოში ორჯერ დაესხნენ თავს – მათ შორის 2015 წელს, თბილისში, თუმცა ის ორივე შემთხვევის დროს გადარჩა. მუქარებისა და მკვლელობის მცდელობის შემდეგ ზელიმხან ხანგოშვილი ოჯახთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა.

საქმის ძიების დროს აღმოჩენილმა მტკიცებულებებმა გააჩინა ვარაუდის საფუძველი, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილი რუსეთის სპეცსამსახურებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, გერმანიის ფედერალურმა პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება, საქმე გამოსაძიებლად თავად გადაიბაროს.

ამის შესახებ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით როიტერი წერს, თუმცა წყაროს იდენტიფიცირებისგან თავს იკავებს.

კრემლმა მკვლელობასთან კავშირი კატეგორიულად უარყო. საქმის ფედერალური პროკურატურის მიერ გადაბარებამ, შესაძლოა, კიდევ უფრო გაამძაფროს დაძაბულობა გერმანიასა და რუსეთს შორის.

# დიმიტრი ხუნდაძის ახალ ინიციატივას ახალი ხმაური მოჰყვა

## რა მოხდა მამუკა მდინარაძის კაბინეტში



გუშინ, 4 დეკემბერს, უმრავლესობის ლიდერებისა და ე.წ. ამბოხებული მაჟორიტარების დახურულმა შეხვედრამ, რომელიც მამუკა მდინარაძის კაბინეტში მიმდინარეობდა, ხმაურის ფონზე ჩაიარა.

„კურიერის“ ინფორმაციით, მაჟორიტარმა დეპუტატმა დიმიტრი ხუნდაძემ კოლეგებს საარჩევნო სისტემის შესახებ ახალი ინიციატივა წარუდგინა, რაზეც აზრთა სხვადასხვაობა იყო.

შეხვედრას მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე და მიხეილ ყაველაშვილი ესწრებოდნენ.

თავად დიმიტრი ხუნდაძე არ აკონკრეტებს, თუ რა ინიციატივაზე იყო საუბარი და აცხადებს, რომ ამის შესახებ მალე ყველა გაიგებს. შეხვედრის თემატიკის დაკონკრეტებისგან თავს იკავებს მიხეილ ყაველაშვილიც.

ხუნდაძის ინიციატივის თაობაზე კამათსა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას ადასტურებენ უმრავლესობის ლიდერები ანრი ოხანაშვილი და მამუკა მდინარაძეც. თუმცა, ინიციატივის გახმაურებისგან ორივე მათგანი თავს იკავებს და ელოდებიან, როდის ისაუბრებს ამის თაობაზე თავად ინიციატივის ავტორი დიმიტრი ხუნდაძე.

შეხვედრის მონაწილე ყველა პირი აცხადებს, რომ მაჟორიტარების მხრიდან უმრავლესობის დატოვების თაობაზე საუბარი არ ყოფილა.

დახურული კონსულტაციების შემდეგ, უმრავლესობის ლიდერთან შესახვედრად ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცელი მივიდა,

შეხვედრაზე მამუკა მდინარაძემ და კარლ ჰარცელმა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, საარჩევნო თემატიკის საკითხები და სასამართლო სისტემის რეფორმირების მიმდინარეობა მიმოიხილეს.

მამუკა მდინარაძემ ევროპელ დიპლომატს პარლამენტის მიმდინარე საქმიანობის ძირითადი გამოწვევები გააცნო და ყურადღება იმ ათ თემატურ საკითხზე გაამახვილა, რომლებიც საშემოდგომო სესიის დასაწყისში პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის მიერ დასახელდა.

# მიხეილ ქუმსიშვილმა ლაშა ჩხარტიშვილს ციხეში ლობიანი შეუგზავნა

მოძრაობა „გაბედეს“ აქტივისტებმა ლაშა ჩხარტიშვილს ქვემო ქართლის პოლიციის დროებითი მოთავსების იზოლატორში საკვები პროდუქტი და სიმბოლურად ლობიანები შეუგზავნეს.

როგორც მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა, მიხეილ ქუმსიშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ლაშა ჩხარტიშვილი მშვიდობიან აქციაზე ლობიოს გადაყრის გამო დააკავეს და ამისთვის 8-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს. სწორედ ამიტომ შეუგზავნეს დღეს სიმბოლურად მას ლობიანები დროებითი მოთავსების იზოლატორში.



– ეს არის, ჩემი აზრით, ძალიან ჩვეულებრივი ლობიანი, ჩვეულებრივი ლობიოს შიგთავსით, რომელიც, სავარაუდოდ, ძალიან გემრიელია, მაგრამ ასე არ მიიჩნევს სახელმწიფო და ასე არ მიიჩნევენ სამართალდამცველები, რომლებმაც ლაშა ჩხარტიშვილი რამდენიმე დღის წინ დააკავეს და ციხეში ჩასვეს იმის გამო, რომ რამდენიმე მარცვალი ლობიო, მშვიდობიან აქციაზე უბრალოდ ჰაერში ააგდო.

ედავებიან იმას, თითქოს ამ ფაქტით მან სამართალდარღვევა ჩაიდინა. ამის გამო ადამიანი გაწირეს ციხისთვის და 8 დღე მიუსაჯეს.

დღეს ჩვენ მოვიტანეთ სიმბოლურად ლობიანი და იმედი გვაქვს, რომ ამის გამო მას ბრალი არ დაუმძიმდება, კიდევ უფრო მეტად. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ქვეყანაში დაწყებულია პოლიტიკური რეპრესიები, ამას სხვა არაფერი არ ჰქვია, – განაცხადა მიხეილ ქუმსიშვილმა.

# ფატუ ბენსუდა: „რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე შედეგი 2020 წლის ბოლომდე დადგება“




ჰააგის სასამართლოს პროკურორის, ფატუ ბენსუდას განცხადებით, რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე გამოძიება აქტიურ ფაზაშია და მისი, როგორც ჰააგის სასამართლოს პროკურორის, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული შედეგები დადგეს.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული განცხადება ფატუ ბენსუდამ საქართველოს იუსტიციის მინისტრ, თეა წულუკიანთან შეხვედრაზე გააკეთა.

„შეხვედრაზე იუსტიციის მინისტრმა რუსეთ-საქართველოს ომის გამოძიების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობა, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ეთნიკური წმენდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი და ომის დანაშაულების მსხვერპლი გახდა, გამოძიებიდან ელოდება კონკრეტულ შედეგებს, რათა აღსრულდეს მართლმსაჯულება.

ასევე, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მხარეებს შორის თანამშრომლობა ძალიან მაღალ დონეზე ხორციელდება.

როგორც შეხვედრაზე პროკურორმა ფატუ ბენსუდამ განაცხადა, რუსეთ-საქართველოს ომის საქმეზე გამოძიება აქტიურ ფაზაშია და მისი, როგორც ჰააგის სასამართლოს პროკურორის, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულ საქმეზე კონკრეტული შედეგები დადგეს.

ფატუ ბენსუდას უფლებამოსილების ვადა 2020 წლის ბოლოს ეწურება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

თეა წულუკიანი ფატუ ბენსუდას ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრი სახელმწიფოების ასამბლეის რიგით მე-18 სესიის ფარგლებში შეხვდა.

# პოლიციელმა ბესიკ ფიფიამ წალენჯიხაში სხვა პოლიციელებს ესროლა

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედმა თანამშრომელმა ბესიკ ფიფიამ, გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებსა და პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა.

შემთხვევა 3 დეკემბერს, გვიან ღამით, წალენჯიხის ცენტრში მოხდა. როგორც „ნიუპოსტმა“ გაარკვია, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ფიფია კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღიდან კოლეგების მისამართით ისროდა.

საბედნიეროდ, ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. დაცხრილულია პოლიციელების კუთვნილი ავტომობილები.

ფიფია იმავე დღეს დააკავეს.



მომხდარის მოტივი უცნობია, რადგან დაკავებული დუმილის უფლებას იყენებს.

საქმეს პროკურატურა იძიებს. განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

# მეტროსადგური „ვარკეთილი“ დროებით გაჩერებული იყო

გუშინ, 4 დეკემბერს, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ დაკვამლიანება იყო.

როგორც „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, მეტროსადგური „ვარკეთილი“ მგზავრებს დროებით არ ემსახურებოდა და მატარებლები მხოლოდ მეტროსადგურ „სამგორამდე“ მოძრაობდნენ.

დაკვამლიანების მიზეზი მოძველებული ელექტროსისტემა გახდა.

შეტყობინება დაკვამლიანების შესახებ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ 4 დეკემბერს, 17:00 საათზე შევიდა.

„თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ცნობით, უსაფრთხოების მიზნით, მეტროსადგურ „ვარკეთილში“ ჩასული მგზავრები სხვა სადგურზე გადაიყვანეს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თაკო ჩარკვიანი: „შარვლიანი პუტინი იქნება საქართველოში თუ კაბიანი, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს“

## „ბურჯანაძე ჩაცუნცულდა რუსეთში, რომ პუტინს უთხრას, მე შევკარი ეს გაერთიანებაო და ამით ფული შემოიტყორცნოს“

იაგო ნაცვლიშვილი

**თაკო ჩარკვიანმა და მისმა პარტიამ „კანონი და სამართალმა“ პროპორციული საარჩევნო სისტემის ირგვლივ გაერთიანებული ოპოზიციის მოლაპარაკებათა ფორმატი დატოვა. მიზეზად კი ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტი დაასახელა, რაც თაკო ჩარკვიანისთვის არსებულ პოლიტიკურ მოცემულობაში მიუღებელი აღმოჩნდა. რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ორიენტაცია ისედაც ყველასთვის ცნობილი იყო და ითანამშრომლებს თუ არა ოპოზიციურ პარტიებთან ამ საკითხების ირგვლივ და რა ფორმატში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თაკო ჩარკვიანი საუბრობს:**

***— სრულად ოპოზიციური მოლაპარაკებების ფორმატი დატოვეთ. მხოლოდ იმით არის თქვენი გადაწყვეტილება განპირობებული, რომ ნინო ბურჯანაძე წავიდა მოსკოვში?***

— თქვენი მკითხველისთვის განვმარტავ, რომ მე არ დამიტოვებია გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“. მე დავტოვე ოპოზიციის გაფართოებული ფორმატი, რომელიც მხოლოდ პროპორციულ საარჩევნო სისტემას ეხებოდა. კოალიციის „ძალა ერთობაშია“ წევრი როგორც ვიყავი პარტიით „კანონი და სამართლით“, ისევ ისე ვარ.

მერე გაკეთდა სრული ოპოზიციური სპექტრის ფორმატი საარჩევნო მოდელზე, სადაც ყველა ვექტორი, როგორც რუსეთის, ისე პროდასავლური მიმართულებების ფორმატი ერთად ვისხედით. ვიცი, რომ ზოგიერთს ეწყინა კიდეც ჩემი განცხადება, მაგრამ ნაკლებად ვფიქრობ ხოლმე ამაზე. მე ვთქვი, მათ შორის თქვენთან ინტერვიუშიც და ინგა გრიგოლიას ეთერშიც ვთქვი, რომ ძალიან გამიჭირდა ამ ერთობაში ჩართვა, რადგან რუსული ვექტორი ჩემთვის ყოველთვის წყალგამყოფია. მაგრამ, ყველა ვექტორს აქვს უფლება, მოითხოვოს ჯანმრთელი პროპორციული სისტემა და გარემო და მე რა უფლება მაქვს, ეს ვინმეს ავუკრძალო?!

ძალიან საინტერესოდ ვიმუშავეთ, კონსტიტუციონალისტები იყვნენ მოწვეულები და გაკეთდა „გერმანული მოდელი“. განსაკუთრებული მუშაობა გასწიეს ბატონმა ვახტანგ ხმალაძემ და გიორგი ვაშაძემ. წარვადგინეთ ეს მოდელი და უპრეცედენტო მხარდაჭერა გვაქვს ოპოზიციას, იქნება ეს დასავლეთის პრესა თუ დიპლომატიური კორპუსი.

***— თვითონ ბურჯანაძე ამ პროექტის მომზადებაში აქტიურად ჩართული არ ყოფილა?***

— აბსოლუტურად ყველა ვიყავით ჩართული. 30 პარტიის ხელის მოწერაა. მათ შორის, ნინო ბურჯანაძისაც.

***— იმას ვგულისხმობ, რომ ბურჯანაძეც იურისტია და მაგ თვალსაზრისით არ ყოფილა ჩართული დოკუმენტზე მომზადების პროცესში?***

— შეიძლება ითქვას, რომ ეს დოკუმენტი გაკეთებულია ხმალაძე-ვაშაძის მიერ და, რა თქმა უნდა, ყველამ მივიღეთ მონაწილეობა დოკუმენტის მომზადებაში. თუმცა, განსაკუთრებით გიორგი ვაშაძემ და ვახტანგ ხმალაძემ.

***— წინა ინტერვიუში მითხარით, რომ რთული იყო თქვენთვის ამ ფორმატში ჩართვა, მაგრამ ოპოზიციის ინტერესებიდან გამოხვედით. დღეს რა შეიცვალა, მაშინ, როცა ყოველთვის იცოდით ბურჯანაძის პარტიის მიმართულება?***

— ეს ყველაფერი გავაკეთეთ, მოვაწერეთ ხელი და კანონპროექტის ინიცირებამდე მივედით. მაგრამ, შევხედოთ პროცესს. როდესაც ხელისუფლებასთან მივდიოდით მოლაპარაკებებზე „ქართულმა ოცნებამ“ მოითხოვა, ვინ იჯდებოდა მეორე მხარეს. გადაწყვიტეს, რომ უნდა ყოფილიყვნენ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარეები, ხმა არავის არ ამოგვიღია. გვინდოდა, რომ ეს შეხვედრა შემდგარიყო, ამიტომ არავის არაფერი არ გვითქვამს.

***— ეს იყო „ოცნების“ მოთხოვნა თუ დიპლომატების?***

— არა, დიპლომატები არ ერევიან ამაში. დიპლომატიური კორპუსი პროტოკოლით არასდროს არ მოითხოვს, ვინ სად დაჯდეს. ისინი იყვნენ მედიატორები ამ დიალოგის.

***— ფორმატი შეადგინა „ქართულმა ოცნებამ“ და არა დიპლომატებმა?***

— რა თქმა უნდა. ეს მოთხოვნა იყო „ოცნებიდან“. ამაზე ხმა არავის არ ამოგვიღია, მაგრამ ჩვენი დამუშავებული პროექტი მივიდა იქ და მოისმინეს ყველაფერი. მთელი ამბავი ის არის, რომ ივანიშვილის დისკრედიტირება მოხდა იმ თვალსაზრისით, რომ ის ყველაფერზე ამბობს უარს.

ახლა რაც შეეხება იმას, როგორ გავიგე ბურჯანაძის ვიზიტის შესახებ. ვზივარ პირდაპირ ეთერში, ამ დროს ამას მატყობინებს ერთ-ერთი ჟურნალისტი შეტყობინების სახით. ამ დროს ჩვენივე საკონსულტაციო ჩატში ჩავიხედე და ვხედავ, რომ კითხულობენ ოპოზიციის წევრები, რომ ეს მართალი იყო თუ არა. ანუ, ჩვენ იმ მაგიდასთან მსხდომებმა არ ვიცოდით. ალბათ მეტყვით, რომ იმ ფორმატთან დაკავშირებით ამას რა მნიშვნელობა აქვსო. დიდი მნიშვნელობა აქვს.

***— გიგლა ბარამიძე ამბობს, რომ რამდენიმე ლიდერმა იცოდაო და ეს სიმართლე არ არის?***

— მე შენახული მაქვს ჩათის ის ნაწილი, სადაც ლიდერები ამბობენ, რომ არ ვიცოდით, მაგრამ არა უშავსო. პაატა დავითაიამ თქვა, ვიცოდიო. კოორდინატორმა თქვა, მე ვიცოდიო, თუ მან იცოდა, ჩვენც უნდა გვცოდნოდა. მე რომ მცოდნოდა, აუცილებლად ვეტყოდი: „თქვენ ყოველთვის დადიხართ მოსკოვში, მაგრამ ახლა უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს საქართველოს დასავლეთიდან და ახლა არ წახვიდეთ“. როდესაც ჩვენ ზარებს ვრეკავთ დასავლეთში და ყველაფერს ვაკეთებთ ამ მხარდაჭერისთვის, მაგრამ ამ დროს პრორუსული პარტიების ბრონიალს არაფერი არ მოაქვს საქართველოსთვის. როგორც ბიძინა ივანიშვილი დააბრონიალებს ხეებს, ისე დაბრონიალებენ ესენი რუსეთში. მითხარით, რა ზიანი შეიძლება მოუტანოს ამან ქართულ პოლიტიკას.

***— არ ვიცი. თქვენ მითხარით.***

— ჯერჯერობით პროცესი ასეა, რომ ახალგაზრდები იბრძვიან და ერთი ახალგაზრდის ჩასმა ვერ მოხერხდა დელეგაციაში. ბავშვები, რომლებიც 20 ივნისიდან იბრძვიან, მათგან ერთი ადამიანის ჩასმა ვერ მოხერხდა ფორმატში, რომელიც ხელისუფლებასთან მოლაპარაკების დროს შედგა. როდესაც დავინახეთ, რომ არ მოდიოდნენ ამაზე ხელისუფლების წარმომადგენლები, ხმა არ ამოგვიღია, რათა არ ჩაშლილიყო. ამით დაინახა დასავლეთმა, რომ ივანიშვილი დათმობაზე კვლავ არ მოდის და მოხდა ივანიშვილის დისკრედიტირება.



***— თემას დავუბრუნდეთ. გრიგოლ ვაშაძე, რომელსაც დიდ პატივს სცემთ, ამბობს, რომ ეს ფორმატი შექმნილია ჯანსაღი პროცესისთვის და მერე ვინ სად წავა და რამდენ ხმას აიღებს, ხალხი გადაწყვეტსო.***

— კი, მაგრამ პოლიტიკაში არსებობს დრო. ეს არ ნიშნავს, რომ დავაბნიოთ დასავლეთი, რომელსაც ერთი ხელით თხოვნით მივმართავთ, რომ გვავიწროებს ოლიგარქი და რუსეთი. რაღა მაინცდამაინც ამ დროს წავიდა რუსეთში.

ეს უკვე განულებული, დაბალი პროცენტის მხარდაჭერილი პარტია და საკმაოდ შერყეული რეპუტაციის მქონე ლიდერმა როგორც კი რაღაცა გაერთიანება დაინახა, ჩაცუნცულდა იმ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ლევან ხაბეიშვილი: „ჩვენგან ერთი ნასროლი კვერცხი გინახავთ?“

## „ჩვენთან დგას განათლებული, ლაღი ახალგაზრდობა, რომელიც თავისუფალ არჩევანს ითხოვს. იქით კი დგანან მოძალადე საჯარო მოხელეები“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს**

***— ლევან, ამბობენ, რომ „ოცნება“ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ უბიძგებს საზოგადოებას.***

— ვერ დაგეთანხმები, სამოქალაქო დაპირისპირება ცოტა ხმამაღალი ნათქვამია. აქ სულ სხვა რამე ხდება.

***— მაშინ რა ხდება?***

— ჩვენ ვხედავთ, თუ რის ხარჯზე აკეთებენ ეს ტიტუშკები ამ აქციებს. ზუგდიდში იდენტიფიცირება მოხდა კონკრეტული საჯარო მოხელეების, ქუთაისში იდენტიფიცირება მოხდა კონკრეტული საჯარო მოხელეების, ასევე მცხეთაში.

ესენი არიან კონკრეტული თანამდებობის პირები, რომლებიც ფიზიკურად უსწორდებოდნენ ადამიანებს. ეს აჩვენებს ერთ მარტივ რეალობას. ძალიან სასაცილოა ზუგდიდში 6 საათზე აქციის ჩატარება. 6 საათამდე ისინი აქციას ვერ ჩაატარებენ, მარტივი მიზეზის გამო.

***— რის გამო?***

— იმიტომ, რომ საჯარო მოხელეები უნდა იყვნენ ამ აქციაზე. შესაბამისად 2 და 3 საათზე ფიზიკურად ვერ შეძლებენ ამის გაკეთებას. ეს კანონდარღვევა იქნება. ამიტომ, ვითომ კანონს არ არღვევენ და 6 საათის შემდეგ იკრიბებიან.

კარგად ვხედავთ, საჯარო მოხელეები როგორი მობილიზებულები არიან და ძალადობრივი გზით ოპოზიციის გადადგომას ითხოვენ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამ ხალხს დაკარგული აქვთ ადამიანის სახე. გინება, ფურთხება, ძალადობა, ყველაფერს კადრულობენ.

***— ძალიან ცუდი საყურებელია ეს დაპირისპირებები.***

— ეს ადამიანები მომხრეები და აქტივისტები კი არ არიან, არამედ საჯარო მოხელეები არიან, რომელთაც ბიუჯეტიდან ვუხდით თანხებს. მეტიც, ეს ადამიანები მიდიან და აპროტესტებენ ოპოზიციას.

ეს საჯარო მოხელე ერთი პოლიტიკური პარტიის საკუთრებაა? მე თუ ვარ ოპოზიცია, ამის გამო ყურადღება არ უნდა მომაქციოს?! ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით ყოფენ. გულისამრევია ამ ყველაფრის ყურება. გაყალბებას რომ თავი დავანებოთ, ყველა მეორე ადამიანმა ოპოზიციას მისცა ხმა და რა გამოდის, ყველა მეორე ადამიანს არ აღიარებენ ეს საჯარო მოხელეები?!



მარტო ნაცმოძრაობის ოფისთან კი არ მოდიან და მათ აყენებენ შეურაცხყოფას, ისინი შეურაცხყოფას აყენებენ ყველა მეორე ადამიანს, რომელმაც ოპოზიციას ხმა მისცა.

ჩვენი აქციები არის მშვიდობიანი, სადაც ვერც ძალადობრივ მოწოდებებს გაიგებთ, ვერც გინებას, არც ასეთი მოღუნული ბიჭები არ დადიან. ყველა ფერადი, ლაღები და განათლებულები არიან. თავად შეადაროს საზოგადოებამ, რა ხალხი დადის იქ და რა ხალხი დგას მათ აქციაზე.

***— ამით რისი თქმა გინდათ?***

— იმის, რომ ჩვენთან დგას განათლებული, ლაღი ახალგაზრდობა, რომელიც თავისუფალ არჩევანს ითხოვს. იქით კი დგანან მოძალადე საჯარო მოხელეები, რომლებიც აპროტესტებენ ოპოზიციას, ოპოზიცია გადადგესო. ეს ხომ არანორმალური სიტუაციაა?! აი, ეს არის ჩვენ შორის სხვაობა.

***— რამდენად სახიფათო სახეს მიიღებს ეს ყველაფერი?***

— სამარცხვინო რამ მოხდა ზუგდიდში. ოპოზიციას ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს ზუგდიდში და ეს ცნობილი ამბავია. შესაბამისად, ზუგდიდში რა გააკეთა ივანიშვილმა?!

***— რა გააკეთა?***

— ზუგდიდელი საჯარო მოხელეები მიუქსია პარტიას და არც ერთი პოლიციელი არ ჩააყენა შუაში. ეს რას ნიშნავს? იმას, რომ ხელისუფლება ძალიან უპასუხისმგებლოა. ჩვენგანაც ვინმეს ასეთი უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება რომ მიეღო და გამოსულიყვნენ ოფისიდან ის ადამიანები, მერე რა მოხდებოდა?! იქნებოდა დაპირისპირება, სისხლისღვრა, ცემა-ტყეპა.

შუშები ჩაამტვრიეს, ძალადობდნენ, ივანიშვილი კი ამ დროს ხელებს იფშვნეტს, თვითონ მილიარდებს შოულობს და ზებრასთან ერთად წამოკოტრიალებულია, ამ დროს კი მეგრელები დააპირისპირა ერთმანეთს.

ოდნავ თუ ვინმეს რამე ტვინი შერჩა, მე მათ მოვუწოდებ, ხალხო, რისთვის ან ვისთვის იბრძვით?! თქვენ 300 და 400 ლარი ხელფასი გქონდეთ და ივანიშვილმა და ამ ხალხმა მილიარდები იშოვონ?! თქვენ კიდევ წახვიდეთ და თქვენს თანასოფლელს და თანარაიონელს ცხვირპირი დაულეწოთ?! ივანიშვილი კი ამ დროს დაგცინით, თუ როგორ დააპირისპირა თავისი მილიარდებისთვის ერთმანეთს ეს ადამიანები.

ეს ხელისუფლება გადავიდა ზუსტად ისეთ მეთოდებზე, რასაც ასლანი აკეთებდა, რასაც შევარდნაძე აკეთებდა, როცა ადამიანებს აპირისპირებდა ერთმანეთს. ეს კარგად არ დამთავრდება. თანაც ივანიშვილს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა აქვს, როცა მის დამცველებად გამოჰყავს საჯარო მოხელეები.

***— თქვენ ამბობთ, რომ სამოქალაქო დაპირისპირება გაზვიადებული ნათქვამია, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ გაექცეთ სიტუაცია?***

— სამოქალაქო დაპირისპირება ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება ორად უნდა იყოს გაყოფილი. საზოგადოება არ არის ორად გაყოფილი. საზოგადოება დგას ერთ მხარეს, ხოლო მეორე მხარეს დგანან მოქოცო ელემენტები.

სოსო გოგაშვილის შვილი, რა თქმა უნდა, იდგება ამ აქციაზე, იმიტომ, რომ მამამისის მილიონებს იცავს. სოციალურად დაუცველები იყვნენ და მილიონერები გახდნენ. ის იცავს საკუთარ ფულს. ეს ხალხი საკუთარ ნაქურდალს იცავენ და, რა თქმა უნდა, სიცოცხლის ბოლომდე დაიცავენ.

ჩვენ ხომ ყველამ ვიცით, ესენი რა ხალხია, ინტელექტი აწუხებთ თუ ჭკუა გადმოსდით ყურებიდან?! გაუნათლებელი ტლუ ადამიანები არიან, რომლებიც ივანიშვილის ხელდასმით მოხვდნენ თანამდებობებზე.

წესით, ჩვენ ბურჯანაძესთან რა საქმე გვაქვს, მაგრამ...

***— თავადვე ახსენეთ ნინო ბურჯანაძე და მისმა ვიზიტმა მოსკოვში ოპოზიცია ძალიან დააზარალა. ამაზე რას იტყვით?***

— კი ბატონო, ასეა, აბსოლუტურად გეთანხმებით, თუმცა ჩვენ ვინც დავდიოდით ვაშინგტონში, ვივლით ისევ ვაშინგტონში, ხოლო ვინც მოსკოვში დადიოდა, იაროს ისევ მოსკოვში. რა ვქნათ, ამას ხომ ვერ ავკრძალავთ?!

ასეთი განსხვავების მიუხედავად, მთავარ რამეზე მაინც შევთანხმდით, რომ სამართლიანი არჩევნები იყოს და ხალხმა გადაწყვიტოს, რა უნდა.

უნდა მოსკოვში მოსიარულე პუტინის წინ ფეხქვეშდაგებული ბურჯანაძე? — კი ბატონო! გავიგე, კარგად მესმის ეს ყველაფერი და არ მომწონს, მაგრამ რომ არ მომწონს, ეს იმას არ ნიშნავს, ერთმანეთს თავპირი დავალეწოთ.

აქ სწორედ ეგ არის მთავარი ამბავი, რომ ჩვენ ყველა ერთად თავისუფალ არჩევნებს ვითხოვთ, ჩვენ შორის ამხელა იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად. მისმა აღმატებულება ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს ხელისუფლების ბედი.

ეს თავხედი ადამიანები სხვას უწოდებენ კრიმინალებს, სხვის დანაშაულებებზე ლაპარაკობენ და თავად ჩადიან დანაშაულს, გოგაშვილი და მისი შვილი რომ სხვის დანაშაულზე ილაპარაკებენ, ეს არ არის სამოქალაქო დაპირისპირება, ეს არის კრიმინალებსა და საზოგადოებას შორის დაპირისპირება.

ეს ხალხის გამარჯვებით დასრულდება აუცილებლად.

***— რა გეგმები გაქვთ? ითქვა, რომ რეგიონში უნდა გადაინაცვლოთ.***

— კი ბატონო, მივდივართ რეგიონში. გვექნება მშვიდობიანი აქციები. ჩვენ მათ არ ვგავართ. საერთოდ რა ხალხთან გვაქვს საქმე. ისტორიული ძეგლი შეღებეს და კვერცხები დაუშინეს.

ჩვენგან ერთი ნასროლი კვერცხი გინახავთ? მე თუ მკითხავთ, მაგათ კვერცხი კი არა, ტაფა ეკუთვნით თავში!

ამ ბრძოლას მოვიგებთ ჩვენ! ქართველი ხალხი მოიგებს! ჩვენი მთავარი ბრძოლის ხაზია აქ. ქართველ ხალხს უნდა დავუბრუნოთ არჩევანის უფლება და მერე არჩევნებზე ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს, ვის მისცემს ხმას.

აი, ეს არის დღეს ჩვენი ბრძოლის ხაზი, რომ მანდატი გადავცეთ მის აღმატებულება ქართველ ხალხს — ბრძოლა იქნება ბოლომდე და გამარჯვებამდე!

# გიგლა ბარამიძე: „ქართული ოცნების“ სტილია უნიჭო შავი პიარი“

## „ნინო ბურჯანაძე ქვეყნის ფარგლებს გარეთ აკეთებს იმ საქმეს, რომლის გაკეთებაც „ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია“

მარიამ მჭედლიშვილი

**ოპოზიციური ერთობის წარმომადგენლის, თაკო ჩარკვიანის განცხადებას ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის მიუღებლობის თაობაზე, სხვა მოვლენებიც მოჰყვა. ამ საკითხს „ქართული ოცნების“ ლიდერებიც გამოეხმაურნენ. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივანს, გიგლა ბარამიძეს.**

*— ნინო ბურჯანაძის მოსკოვში სამუშაო ვიზიტს მმართველი პარტიიდანაც გამოეხმაურნენ. უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე ჟურნალისტებს ურჩევს, დაინტერესდნენ, ხომ არ არის ნინო ბურჯანაძესთან ერთად გრიგოლ ვაშაძე. გრიგოლ ვაშაძე, თავის მხრივ, ირონიულად აღნიშნავს, რომ მდინარაძე პუტინის ადმინისტრაციამ მოიკითხა.*

— ჩვენ ყველგან ყოველთვის ქვეყნის ინტერესებს ვიცავთ. ამასვე ემსახურება ნინო ბურჯანაძის მორიგი სამუშაო ვიზიტი რუსეთში. მდინარაძის გამონათქვამებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. როგორ შეიძლება, მდინარაძემ და მისმა ძმაკაცმა თალაკვაძემ რამე საყურადღებო თქვან! ამ ქოსამატყუარების და უქნარების მოხვედრა პოლიტიკაში და პარლამენტში დიდი გაუგებრობაა.

*— ზოგადად „ქართული ოცნების“ პოზიციაზე რა შეიძლება ითქვას?*

— უნიჭო შავი პიარი „ქართულ ოცნების“ სტილია. გაუგებარია, რისი თქმა უნდათ, როცა ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ჩასვლაზე ქილიკობენ. პირველად წავიდა რუსეთში? ან ვინმეს ნებართვა სჭირდება, რომ იქ ვინმეს დაელაპარაკოს?

*— თქვენ ამბობთ, რომ მისი ახლანდელი ვიზიტის შესახებ ინფორმირებული იყვნენ ოპოზიციურ ერთობაში. თაკო ჩარკვიანისთვის ეს მოულოდნელობა აღმოჩნდა.*

— თაკო ჩარკვიანის პარტია არ მიუჯდება



### „ოპოზიციურ ერთობას საფრთხე არ ემუქრება“

ოპოზიციურ მრგვალ მაგიდას, მაგრამ ის ისევ მიიღებს მონაწილეობას აქციებში. ხელისუფლებას ძალიან უნდა ოპოზიციაში განხეთქილება, მაგრამ ვერ მიიღებს. ოპოზიციურ ერთობას საფრთხე არ ემუქრება. „ოცნებამ“ აამუშავა თავისი შავი პიარი, მაგრამ უშედეგოდ. ხელისუფლება იმიტომაც არის წყობიდან გამოსული, რომ შური და ბოღმა ახრჩობს.

*— რის გამო?*

— იმის გამო, რომ არც ვაშინგტონში ჩაესვლება, არც მოსკოვში, არც ბრიუსელში და არც — ანტარქტიდაში. ამ უმაქნისებმა და უვიცებმა არც დიალოგი იციან და არც საგარეო პოლიტიკა. ნინო ბურჯანაძე ბევრგან დადის და ქვეყნის ინტერესებისთვის ყველას ელაპარაკება. ის ქვეყნის ფარგლებს გარეთ აკეთებს იმ საქმეს, რომლის გაკეთებაც „ქართულ ოცნებას“ არ შეუძლია.

„ოცნებაში“ შეიყარა ხალხი, რომელმაც იცის საკუთარ ჯიბეზე ზრუნვა და ვირთხასავით სადმე შეპარვა. პარლამენტშიც ვირთხებივით იპარებიან.

*— საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ხდება შეჯახება ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის. ეს რაზე მეტყველებს?*

— ხელისუფლების სიბეცეზე. „ქართული ოცნება“ სრულ უმწიფრობას და უპასუხისმგებლობას ამჟღავნებს. ან სად პოულობს მმართველი პარტია თავის მომხრეებს? ან რა მეტყველება აქვთ, ან რა გამომეტყველება, ან რა ჰაბიტუსი? ამათ იმედზეა ხელისუფლება?

ეს მდინარაძეები და თალაკვაძეები, რომლებიც ცოტა ხნის წინ ნაციონალურ მოძრაობასთან იყვნენ და ნაცმოძრაობის ლიდერებს უძვრებოდნენ, ახლა მთელ ოპოზიციას ნაციონალებს გვეძახიან. მდინარაძეებს და თალაკვაძეებს საკუთარი თავი გასჭირვებიათ. მაგათ სამოქალაქო დაპირისპირება არ აღელვებთ. საბოლოოდ, მთელი დარტყმები წავა არა მდინარაძეზე, თალაკვაძესა და გახარიაზე, არამედ ივანიშვილზე.

ბიძინა ივანიშვილს ბუფერები ჩამოეშალა და ყველაფერი ბუმერანგად დაუბრუნდება. მან გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როცა ყველას დაჰპირდა არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებას და მერე ყველა მოატყუა.

*— მარტო მმართველი პარტიის უმწიფრობასა და უპასუხისმგებლობაშია საქმე თუ სხვა მოვლენებთანაც გვაქვს საქმე?*

— ხელისუფლების ყველა სვლა პრიმიტიულია. ან ნაციონალებზე ლაპარაკი არ მობეზრდათ? ვისზე ლაპარაკობენ? კოაბიტაცია ამათ არ მოაწყვეს? ის ხალხი, რომელიც ნაციონალებთან იყო, გვერდით დაიყენეს, დამნაშავეები არ დასაჯეს და დამნაშავე ნაციონალებიო, თვითონვე გაიძახიან.

*— ზოგ უპარტიო ადამიანსაც არ ესმის, რატომ დადექით ერთად ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტიები.*

— ეგ მედროვე ხალხია, რომელიც საერთო საქმისთვის თითს თითზე არ აკრებს. ეს მედროვეები ყოველთვის გამარჯვებულთან დგებიან. როგორც შეატყობენ, რომ ვინმე იმარჯვებს, ტუალეტთან ხვდებიან, რომ ახლობლების დასაქმება სთხოვონ.

ასეთებს ერთი ადგილი არა აქვთ, თვითონ რამე გააკეთონ. ბრძოლაზე ლაპარაკი ზედმეტია. როცა საჭიროა, ტახტიდან არ გადმოვლენ, ფეისბუქს არ მოშორდებიან. ესენი სხვებს ამუნათებენ და ჭკუას ასწავლიან, ვინ ვისთან ერთად უნდა იდგეს აქციაზე. ასეთი სახის სიზარმაცეც ახასიათებს ქართველების ნაწილს. ამ ადამიანების მოთხოვნები ასეთია — მაჭამე, მასვი, დამიცავი.

ასეთი ხალხის კომენტარებს ყურადღებას არ ვაქცევთ.

*— ექსპერტების აზრით, ბოლო დროს გამოიკვეთა ორი ახალი პოლიტიკური ცენტრი — „პატრიოტთა ალიანსი“ და „ლელო-შენების მოძრაობა-ახალი მემარჯვენეები“. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამაზე?*

— ამ დასახელებულ პოლიტიკოსებს და პარტიებს პატივს ვცემ, მაგრამ ამ ექსპერტებს არ ვეთანხმები. პოლიტიკური ცენტრები ეს არ არის. უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ცენტრი ადრევე ჩამოყალიბდა. ეს არის ერთობა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.

„ქართული ოცნება“, ივანიშვილის მეთაურობით, თავდაღმართში მიექანება. „ოცნებაში“ მოკალათებულები თავს ინუგეშებენ, თავს სხვებს ესხმიან, მაგრამ მათ არაფერი არ უშველით.

ბიძინა ივანიშვილმა გამოუსწორებელი და საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

# მურმან დუმბაძე: „ივანიშვილმა უნდა აირჩიოს შევარდნაძის, აბაშიძის ან სააკაშვილის გზა“

## „ცხოვრების ნახევარი საბჭოთა კავშირში გავატარე, მეორე ნახევარი — რუსთაველზე“

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

*— ბატონო მურმან, ნიკა გვარამიას ფეისბუკ პოსტი უზურპატორის დამხობასთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილმა გააზიარა, რომელსაც შემდეგ ნაციონალური მოძრაობის წევრების განმარტებები მოჰყვა. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხზე?*

— 30 წელია, მიტინგებზე ვდგავარ. 60 წლის ვხდები, აქედან ერთი მეორედი საბჭოთა კავშირში გავატარე, მეორე ერთი მეორედი კი — რუსთაველზე. ასეთი მშვიდობიანი მიტინგები არ მაგონდება.

თუ ხელისუფლებას სურს, კალაპოტს მიღმა გადაგვიყვანოს, ჩვენ შევეცდებით, არ გადავიდეთ. ადამიანები რა განცხადებებს გააკეთებენ, ეს მათი სუბიექტური პოზიციაა, მაგრამ განცხადების გაკეთება ერთია და ქმედება — მეორე. არავინ არ აპირებს ბიძინა ივანიშვილის ძალადობრივი გზით ხელისუფლებიდან ჩამოშორებას. ბიძინა ივანიშვილს ჩვენ მხოლოდ მისივე დანაპირების შესრულებას ვთხოვთ, სხვას არაფერს.

საქართველოში არჩევნები რიგგარეშე თუ ვადით დანიშნული, მხოლოდ პროპორციული სისტემით ჩატარდება. სხვა სისტემით არჩევნები საქართველოში ვეღარ ჩატარდება.

*— ეს ნიშნავს იმას, რომ პროცესების ესკალაცია მოხდება?*

— არა, თუ ბიძინა ივანიშვილი პარტიების გარეშე ჩაატარებს არჩევნებს, როგორც ბრეჟნევის ეპოქაში ტარდებოდა, მაშინ ღმერთმა ხელი მოუმართოს. „ქართული ოცნება“ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. ასეთი არჩევნები, ასეთი მთავრობა ხომ არ იქნება ლეგიტიმური?!

*— გაერთიანებული ოპოზიცია არჩევნების ბოიკოტს განიხილავს?*

— რა თქმა უნდა, განიხილავს! ღიად ვამბობ, საქართველოში არჩევნები მხოლოდ პროპორციული წესით ჩატარდება.

*— არჩევნების ბოიკოტი რთულად შესასრულებელი არ გეჩვენებათ?*

— სულაც არა.

*— სატელიტებს შექმნის და ისინი მიიღებენ მონაწილეობას.*

— ეს იქნება „ქართული ოცნება“ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. ეს ძალიან მარტივად გამოცნობადი ამბავია. სახელმწიფოს სატელიტები კი არ ქმნიან, სახელმწიფოს იდეალისტები ქმნიან. ჭე-კლასის პარტიებს შექმნის და მათთან ერთად მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ ლეგიტიმაცია რომ არ ექნება ასეთ არჩევნებს, ასე მიღებულ შედეგებს ხალხი უნდობლობას რომ გამოუცხადებს შინ და გარეთ, ეს ხომ იცით, რას ნიშნავს?!



*— ქუჩაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება, არ ფიქრობთ, რომ ძალიან სახიფათოა?*

— დიახ, ჩვენ, პრაქტიკულად ასლან აბაშიძის ეპოქაში დავბრუნდით. ეს ნაცნობი გზაა. გაკვალული გზაა. 1991 წლიდან 2004 წლამდე შემიძლია თითოეული მიტინგის ანატომია აღვწერო. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ერთმანეთს მეზობელი მეზობელს, ბიძაშვილი ბიძაშვილს, ცოლი ქმარს დაუპირისპირდა და შედეგად რა მიიღო, 2004 წლის 6 მაისს, დილის 6 საათზე ასლან აბაშიძეს მის მშობლიურ მოსკოვში გაფრენა მოუწია. დღესაც არ არის ჩამოსული.

მე ეს არ მინდა, განმეორდეს.

*— პარალელებს ავლებთ?*

— რა თქმა უნდა! ბიძინა ივანიშვილს არჩევანი აქვს. მას შეუძლია აირჩიოს სამი ცნობილი ლიდერის გზა: ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილისა და ასლან აბაშიძის.

ედუარდ შევარდნაძე რევოლუციით გადააგდეს. თუმცა, მშვიდობიანად. როდესაც მას ჰკითხეს, სად მიდიხართ? მან უპასუხა — სახლში! ბიძინა ივანიშვილს როდესაც ამ კითხვას დაუსვამენ, მან უნდა უპასუხოს — სახლში!

მეორე გზა ასეთია: როდესაც არჩევნებში დამარცხდა მიხეილ სააკაშვილი, მან თქვა: მე დავმარცხდი და წარმატებას ვუსურვებ გამარჯვებულ პარტიას. ეს გზაც შეუძლია აირჩიოს, როდესაც პატიოსან არჩევნებში დამარცხდება. თავის დროზე ეს არჩევანი გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა და ამიტომ დარჩა დიდ პოლიტიკაში. სხვა გზა რომ აერჩია, ევროპაში კი არა, ახმეტას ვერ გაცდებოდა.

მესამე გზა არის ასლან აბაშიძის გზა, რომელიც 2004 წლის 6 მაისს, დილის 6 საათზე გაფრინდა ბათუმიდან.

ამ სამი გზიდან რომელიც უნდა, ის აირჩიოს ბიძინა ივანიშვილმა. ეს არის პირადად ჩემი რჩევა. ისეთივე გულწრფელი რჩევაა, როგორც 2012 წელს ვურჩევდი. მაშინ ჩემს რჩევებს ითვალისწინებდა, მიჯერებდა.

იმედი მაქვს, ახლაც დამიჯერებს. ასე ჯობია მისთვისაც და ჩვენი ქვეყნისთვისაც.

# თაკო ჩარკვიანი: „შარვლიანი პუტინი იქნება საქართველოში თუ კაბიანი, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

წუთში რუსეთში, რომ ეთქვა, ნახეთ, მე შევკარი ეს გაერთიანებაო. ცხადია, ეს მას არ გაუკეთებია. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის შალვა ნათელაშვილს, რომელსაც მადლობას ვეუბნები.

მიდის იქ იმიტომ, რომ პუტინს უთხრას, რომ ჩემი რეაბილიტაცია მოხდა და ისევ კარგად ვარო და ამით კიდევ ფული შემოიტყორცნოს რუსეთიდან ქვეყნის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. ეს უნდა დასრულდეს, თორემ საქართველოს არაფერი ეშველება. მხოლოდ სიმართლე გადაარჩენს ჩვენს პოლიტიკას. როდემდე უნდა აიტანოს ყალბი პოლიტიკოსები ხალხმა?! მე ასე ვთვლი, რომ მე, როგორც ერთი მოქალაქე, არ შევუწყობ ხელს რუსული პარტიების რეაბილიტაციას. იმიტომ, რომ ისინი შემოიტანენ რუსულ ფულს და შემდეგ არჩევნებში კვლავ საქართველოს წინააღმდეგ ჩაირეცხება რუსული ფული. ჩემს ქვეყანაში შარვლიანი იქნება პუტინი თუ კაბიანი, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ეს არის დაღუპვა. ამიტომ, მოვიწვიეთ პოლიტსაბჭო პარტიაში და ვთქვით, რომ არ ვემიჯნებით პროცესს, პიკეტირება, ქუჩის აქციებსა და ყველა მოთხოვნაში ვრჩებით. ისევე, როგორც ჩვენი პარტიის ხელმოწერა ძალაში რჩება, მაგრამ მოლაპარაკების მაგიდასთან არ დავჯდები. პუტინის ანგარიშის ჩამბარებელთან მე მოწმედ არ დავჯდები. ეს არის ჩემი პრინციპული გადაწყვეტილება.

*— საინტერესოა ისიც, ამ ფორმატში ყოფნისას ბურჯანაძესთან სხვადასხვა თემებზე პირისპირ არ გისაუბრიათ?*

— არანაირად. ვცდილობდი, რომ არ მესაუბრა. გამარჯობა, გაგიმარჯოს. ყველასთან ვსაუბრობდი, მის გარდა. დიახ, მასთან დისტანციას ვიკავებდი.

*— ხომ არ გგონიათ, რომ ეს გააჩენს ბზარს ოპოზიციის საერთო ფორმატში? ან ამის განცდას წარმოშობს საზოგადოებაში? ჯერ ბურჯანაძის ვიზიტი, მერე თქვენი გადაწყვეტილება ფორმატთან დაკავშირებით. რას იტყვით ამაზე?*

— პირიქით. დასავლეთის ამომრჩეველი გააკეთებს სწორ დასკვნებს. პირიქით, გაჩნდა იმედი იმისა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ღირებულებებით არ თამაშობენ. ეს თამაში ჩემგან გამორიცხულია, მე არ ვარ პოლიტიკიდან პოლიტიკაში. მე ვარ ოჯახიდან პოლიტიკაში. ბურჯანაძისნაირმა ტიპებმა საქართველო შეაჩვიეს იმას, რომ პოლიტიკა ბინძურია. რაში სჭირდება ტყუილი ქართველ ხალხს და ჩვენს პოლიტიკას. სად დარბიან?! ისევ შიმშილს სთავაზობენ ამ ხალხს. აბა, რუსეთს თვითონ რა დღეში ჰყავს თავისი მოქალაქეები. მე გულწრფელად მინდა, რომ მოხუცს პენსია ჰქონდეს, ბავშვები მშივრები არ იყვნენ და ადამიანებს ნორმალური ცხოვრების პირობები. რატომ დაჭირდათ ეს პარტია პარტიების ადმინისტრაციაში?! მე განლუბული პოლიტიკანის რეაბილიტაციას ხელს არ შევუწყობ.

6 თვის წინ რუსეთის ტელევიზიაში ჩემს ქვეყანას აბეზღებს რალაცაში და 6 თვეში გაკეთილშობილდა?! ამას ვენდო, რომ ჩვენი გეგმები მიუცუნცულოს პუტინს?! ღია ეთერში აბეზღებდა საქართველოს და ახლა არ დააბეზღებდა?! ეს ღუპავს პოლიტიკურ პროცესს საქართველოში.

მე ძალიან მიყვარს ჩემი კოლეგები, პატივს ვცემ მათ გადაწყვეტილებას, მაგრამ ასეთი ქმედებისთვის რეაქცია უნდა მიმეცა, თან ამ პროცესში. ჩვენ უნდა დავანახოთ დასავლეთს, რომ ჩვენს მომავალს მათთან ერთად ვხედავთ და ეს უნდა დავამტკიცოთ საქმით. მათ უნდა დაინახონ, რომ ჩვენ ერთმნიშვნელოვნად გზა დასავლეთისკენ გვაქვს.

# პროკურორი გუბელაძე: „ნიკა გვარამიას მანქანას 2 დღის განმავლობაში ვუთვალთვალებდით“

## გვარამიას, დამენიას და იაშვილის პროცესი 13 დეკემბრისთვის გადაიდო

„რუსთავი 2“-ის ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას, ასევე, მასთან ერთად ბრალდებული ორი პირის, „რუსთავი 2“-ის ყოფილი ფინანსური დირექტორის კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორის ზურაბ იაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო.

აღნიშნულის მიზეზი „ინტერ მედია პლიუსის“ ბრალდებული დირექტორის ზურაბ იაშვილის ადვოკატის ბექა ბასილაიას შუამდგომლობა გახდა.

ბასილაიამ მოსამართლე ლევან გელოვანს სხდომის გადადების შუამდგომლობით მიმართა.

როგორც ბასილაიამ განმარტა, საქმის მასალების გაცნობა მისთვის ობიექტური მიზეზით ვერ შეძლო, ვინაიდან ადმინისტრაციულ პატიმრობაში იმყოფებოდა. ადვოკატმა აღნიშნა, რომ მასალების სრულყოფილად გასაცნობად დრო სჭირდება და სხდომა 2 კვირით უნდა გადადებულიყო.

აღნიშნულ შუამდგომლობას ბრალდების მხარე არ დაეთანხმა. პროკურორ ზვიად გუბელაძის განმარტებით, დაცვის მხარეს 13 ნოემბერს გადაეცა საქმის მასალები და მის გასაცნობად საკმარისი დრო ჰქონდა.

მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სხდომა 13 დეკემბრისთვის გადაიდო.

გენერალურმა პროკურატურამ 6 სექტემბერს, „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორს კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორს ზურაბ იაშვილს წაუყენა.



ნიკა გვარამიას ბრალად ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ნიკა გვარამიას ასევე ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში.

გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახით 40.000-ლარიანი გირაო შეეფარდა, ამასთან, მას ქვეყნიდან გასვლის უფლება შეეზღუდა.

კახა დამენიას გამოძიება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში ედება, რაც ჩადენილი იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დამენიას აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო შეეფარდა. მას ასევე, აეკრძალა სახელმწიფო საზღვრის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე.

სხდომის დაწყებამდე პროკურორი ზვიად გუბელაძე გამოეხმაურა ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ მის ოჯახს ფარულად უთვალთვალებენ და ამის ამსახველი ჩანაწერები მიიღო.

პროკურორის თქმით, ამ საკითხზე გვარამიას განცხადება „საზოგადოების შეცდომაში შეყვანის უსუსური მცდელობა იყო“.

– 2019 წლის 1 ნოემბერს ბრალდებულ ნიკა გვარამიას ახალი ბრალი წარედგინა – ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, რაც გულისხმობს იმას, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ -ის ეთერში სარეკლამო რგოლების განთავსების სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღო დაახლოებით 76.000 ევროდ ღირებული ავტომობილი.

ამ სქემის შენიღბვის მიზნით, აღნიშნული ავტომობილი გააფორმა კომპანიის შპს „პროესკო მედიის“ სახელზე. სწორედ აღნიშნული საქმის გამოძიების ფარგლებში იმის დასადგენად, თუ რეალურად ვის ეკუთვნოდა ეს ავტომობილი და ვინ სარგებლობდა, ჩვენი მხრიდან არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება ჩატარდა. მათ შორის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ფარული საგამოძიებო მოქმედება განხორციელდა უშუალოდ ავტომობილზე.

მხოლოდ 2 დღის განმავლობაში ხდებოდა ავტომობილზე გადაღება. მას შემდეგ, რაც გამოძიებამ მტკიცებულებები მიიღო, რომ ნამდვილად ბრალდებულ ნიკა გვარამიას ოჯახის საკუთრებაში იყო ეს ავტომობილი და ისინი სარგებლობდნენ, ვიდეოგადაღება შეწყდა, – განაცხადა გუბელაძემ.

მისი განმარტებით, საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრული დაცვით ხდებოდა. მისივე თქმით, საგამოძიებო მოქმედების საფუძველი იყო სასამართლოს განჩინება. როგორც პროკურორი ამბობს, მიზანი იყო, მხოლოდ ის, რომ დადგენილიყო, ვის სარგებლობაში იყო ეს ავტომობილი.

– ეს ვიდეოჩანაწერი საქმეს ერთვის როგორც მტკიცებულება. საქმის სასამართლოში წარმართვამდე რამდენიმე დღით ადრე, დაცვის მხარეს, გვარამიას ადვოკატ დიმიტრი საძაგლიშვილს გადაეცა, როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალები, მათ შორის, ეს ვიდეოჩანაწერი. იქვე განემარტა, რომ ამ ვიდეოჩანაწერს ბრალდების მხარე იყენებდა, როგორც მტკიცებულებას ბრალდებულ ნიკა გვარამიას მიმართ. შესაბამისად, სხვა რაიმე შეფასებები, რაც გაკეთებულა ან მომავალში გაკეთდეს, ჩემი აზრით, ეს არის სპეკულაცია, – განაცხადა ზვიად გუბელაძემ.

მისივე თქმით, ბრალდებული ნიკა გვარამია სასამართლო სხდომებზე მის ფინანსურ მდგომარეობაზე აპელირებდა.

– ერთ-ერთ არგუმენტად მოიყვანა ისიც, რომ საკუთრებაში მანქანაც კი არ ჰყავს და მისი მეგობრების მანქანით გადაადგილდება. შესაბამისად, ამის შემდგომ მისთვის დამატებითი კითხვის დასმა, რომ ჰყავს თუ არა სხვა ავტომობილი, ან მისი ოჯახი სარგებლობს თუ არა სხვა ავტომობილით, ვფიქრობ, აზრს კარგავდა, – განაცხადა ზვიად გუბელაძემ.

# ადვოკატი თოდუა: „ვწუხვარ, რომ სხდომას არ ესწრებოდა ზაზა სარალიძე“



ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებული მიხეილ კალანდიას საქმის პროკურორი, ბესიკ ქვარცხავა აცხადებს, რომ კალანდიას მამამ და ძმამ სასამართლოში დაკითხვაზე უარი განაცხადეს.

– დღევანდელ სხდომაზე გამოძახებული იყო ორი მოწმე, ესენი გახლდნენ ბრალდებულ მ.კ.-ს მამა და ძმა, რომლებმაც სასამართლოს უარი განუცხადეს ჩვენების მიცემაზე იმ მოტივით, რომ საქმეში მათი ახლო ნათესავი ფიგურირებს.

დღეს დაკითხული სხვა მოწმეები დანაშაულის ჩადენის მონაკვეთში შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ. მათ სასამართლოს მიაწოდეს ინფორმაცია იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რაც მათ დაინახეს დანაშაულის დაწყებიდან დასრულებამდე. აღნიშნული მოწმეები ხორავას №4-ში იმყოფებოდნენ, ერთ-ერთი 51-ე სკოლის საპირფარეშოშიც იმყოფებოდა, როცა ინციდენტი განვითარდა, – განაცხადა ქვარცხავამ.

მიხეილ კალანდიას ადვოკატის, ზურაბ თოდუას განცხადებით, გუშინ, 4 დეკემბერს, დაკითხულმა მოწმეებმა სასამართლოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდეს, თუმცა, აღნიშნული კავშირში არ არის მიხეილ კალანდიას ბრალეულ ქმედებასთან მიმართებაში.

– ვწუხვარ, რომ დარბაზში პრესას არ უშვებენ და ასევე, დღევანდელ სხდომას არ ესწრებოდა ზაზა სარალიძე, რათა პირადად მოესმინა ინფორმაცია, რომელსაც მოწმეები სასამართლოს აწვდიან.

მოწმემ, რომელიც საპირფარეშოს ინციდენტში ყველაზე მთავარი ფიგურანტი იყო, დღეს განაცხადა შემდეგი რამ: როცა დაპირისპირებული მხარეები შეარიგა, ამის შემდეგ სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა დავით სარალიძე, რომელმაც ერთ-ერთ მონაწილეს ხმის ტონალობა დაუწუნა. ამას აჰყვა მეორე მხარეც.

მოწმემ განაცხადა, რომ ის ეცადა, სარალიძის მოქმედება შეეჩერებინა, ამ დროს მას სახის არეში დავით სარალიძის მოქნეული მუშტი მოხვდა, რის გამოც თვალებში დაუბნელდა და რა მოხდა, აღარ ახსოვს, – განაცხადა თოდუამ.

შემდეგი სასამართლო სხდომა 6 დეკემბერს, 14:00 საათზე გაიმართება.

# ზურაბ ბუდაღაშვილის სურვილის შემთხვევაში, მასთან საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდება

– ზურაბ ბუდაღაშვილის სურვილის შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელი შევა მასთან და საგამოძიებო მოქმედებებს ჩაატარებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს 20 ივნისის აქციის საქმის პროკურორმა გიორგი მუკბანიანმა განუცხადა.



კითხვაზე, თუ რატომ მოათავსეს ბრალდებული სამარტოო საკანში, პროკურორი პასუხობს, რომ ამას პენიტენციური დაწესებულების დირექცია წყვეტს.

– სავარაუდოდ, აღნიშნულს შესაბამისი დაწესებულების დირექცია წყვეტს. მე ვერ მოგახსენებთ, რა მიზეზით მოთავსდა ის იმ საკანში, ან არის თუ არა მისი განცხადება სიმართლე, – განაცხადა მუკბანიანმა.

გუშინ, 4 დეკემბერს, სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის 6 მოწმე დაიკითხა.

ექვსივე მათგანი სამართალდამცავები იყვნენ, რომელთაგან 4-ს დაზარალებულის სტატუსი აქვს.

– ვერ დაგეთანხმებით, რომ დაკითხული მოწმეებიდან ბრალდებულებთან არც ერთი შემხებლობაში არაა. გარკვეული დროის განმავლობაში საკმაოდ ინტენსიური შეტევა ხდებოდა სამართალდამცავების წარმომადგენლებზე. ის დაზიანებები, რომლებიც მათ მიიღეს თავის არეში, სხეულის სხვადასხვა ნაწილში, ჯგუფური მოქმედების შედეგად მიიღეს, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ის ბრალდებულები, რომლებიც სასამართლო სხდომაზე იმყოფებოდნენ, – განაცხადა მუკბანიანმა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 13 დეკემბერს, 10:00 საათზე გაიმართება.

# წითელ ხიდზე არადეკლარირებული ბრილიანტის თვლები და ოქროს ნაკეთობები გამოავლინეს



საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, 20 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, აზერბაიჯანის მოქალაქეების ფიზიკური და კუთვნილი ავტომობილის დათვალიერების შედეგად, ჯამში 23,116.29 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს (254,63 გრამი) ნაკეთობები და ბრილიანტის თვლები (54 ცალი) გამოავლინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით 27,968.35 ლარი შეადგინა. მათივე ცნობით, საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ჯამში 27,968.35 ლარის ოდენობით შეეფარდათ.

# ჯანდარის ტბაზე გიორგი ქველაძის და ირაკლი ბოჭოიძის ცხედრები იპოვეს



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა ჯანდარის ტბაზე დაკარგული 21 და 26 წლის მეთევზეების, გიორგი ქველაძის და ირაკლი ბოჭოიძის, ცხედრები იპოვეს.

„ჯანდარის ტბაზე დაკარგული მოქალაქეების საძიებო სამუშაოები სამი დღის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა. ადგილზე მობილიზებული იყო შესაბამისი ტექნიკა, ვერტმფრენი, სითბური დრონი და ცოცხალი ძალა, მათ შორის, მყვინთავთა ჯგუფები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ტბის ფსკერის წყალქვეშა მონიტორინგის სამუშაოებს სპეციალური ტექნიკის საშუალებით აწარმოებდა. პარალელურ რეჟიმში ხორციელდებოდა ტბის სანაპირო ზოლის მონიტორინგი.

საძიებო ოპერაცია მიმდინარეობდა როგორც საქართველოს, ასევე, აზერბაიჯანის ტერიტორიებზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში, ჯანდარის ტბაზე ორი მოქალაქის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია ორ დეკემბერს, დღის პირველ ნახევარში შემოვიდა. შეტყობინების მიღებისთანავე, მეხანძრე-მაშველები შემთხვევის ადგილზე გაემგზავრნენ და სამაშველო ოპერაცია დაიწყეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილთა ოჯახებს,“ – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ნარკომოვაჭრეობისთვის ა.ს.-ს 11 წელი მიესაჯა



თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ბრალდებული ა.ს. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ა.ს-მ უკანონოდ შეიძინა და შეინახა 20,927054 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. სამართალდამცველებმა ა.ს. 2019 წლის 28 თებერვალს სოფელ ფონიჭალაში დააკავეს. მისი პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას აღმოჩენილი იქნა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება.

ა.ს.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარედგინა (განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ა.ს. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 11 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# ტრამპი: „საფრანგეთი დასავლეთს შორდება“



ლონდონში აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი საფრანგეთის ლიდერ ემანუილ მაკრონს შეხვდა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთთან არა კონფრონტაცია, არამედ დიალოგია აუცილებელი. მაკრონი საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების საკითხსაც შეეხო.

— აუცილებელია რაკეტების თაობაზე ახალი შეთანხმების მომზადება, — თქვა მაკრონმა.

ტრამპმა თავის მხრივ შეშფოთება გამოთქვა მაკრონის გამოსვლებში გახშირებული პრორუსული ფრაზეოლოგიის გამო.

აშშ-ის პრეზიდენტმა დაამატა, რომ საფრანგეთი სულ უფრო შორდება როგორც ნატოს, ასევე მთელ დასავლურ სამყაროს.

## კალეიდოსკოპი

# ფეხის მოტეხვამ ამერიკელი მილიონერად აქცია

ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრები ამტკიცებს, რომ ფეხის მოტეხვამ შთააგონა მას ლატარიის ბილეთის შეძენა, რომელიც მომგებიანი გამოდგა.




55 წლის მექანიკოსმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, მუშაობის დროს ფეხი მოიტეხა.

— ჩემი საქმიანობა მიყვარს, მაგრამ ფეხის მოტეხვამ ჩემი ცხოვრების რიტმი შეცვალა, ვინაიდან ველარ ვმუშაობდი, — აღიარა მამაკაცმა, — ამის გამო გასართობად ლატარიის თამაში დავიწყე.

მან ბილეთების შეძენა დაიწყო და სულ რაღაც ორ კვირაში ოთხჯერ 500-500 დოლარი მოიგო.

მაშინ მეგობრის რჩევით, მან 20 დოლარად მაქს ა მილიონის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა და მილიონი დოლარი მოიგო. გამარჯვებულმა მაშინვე მოგების თაობაზე დედას უამბო, რომელმაც ურჩია, რომ კიდევ ერთხელ შეემოწმებინა გათამაშების შედეგები. მამაკაცმა დედის რჩევა გაითვალისწინა.

შემდეგ მან სასიხარულო ახალი ამბავი თავის უფროსს გაუზიარა.

— მან მაშინვე მკითხა, ამის შემდეგ მუშაობისთვის თავის დანებებას ხომ არ ვაპირებდი, — გაიხსენა მექანიკოსმა, — მე მიყვარს ჩემი საქმე, ასე რომ, მისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ.

მოგებული თანხით ამერიკელი ახალი სახლის, მანქანის და სათევზაოდ ნავის ყიდვას აპირებს.

# გოგონას პუმა კნუტი ეგონა და სახლში მიიყვანა

არგენტინის ტუკუმანის პროვინციის ქალაქ სანტა-როზა-დე-ლილეს მცხოვრებმა ქუჩიდან კნუტი აიყვანა და სახლში მიიყვანა, მოგვიანებით კი გაარკვია, რომ ის პუმის ნაშიერი იყო.

კოლეჯის 18 წლის სტუდენტი ფლორენცია ლობო ძმასთან ერთად ქალაქის შემოგარენში სეირნობდა, როდესაც ტირილის მსგავსი ხმები გაიგონა. და-ძმამ იფიქრა, რომ ეს ბუდიდან გადმოვარდნილი ჩიტის ხმა იყო და ხესთან მივიდნენ, იქ კი ორი კნუტი აღმოაჩინეს.

ლობომ პატარა ცხოველები სახლში წაიყვანა და მათ ტიტო და დანი დაარქვა. ორი კვირის შემდეგ დანი მოულოდნელად მოკვდა.

ტიტო მეტად აქტიური იყო, უყვარდა თამაში, იკბინებოდა და სწრაფად დარბოდა. ლობოს პატარა ცხოველის ქცევაში კატის კნუტის ქცევისგან განსხვავებული არაფერი შეუნიშნავს.



ბოლოს და ბოლოს, ტიტოს მეტისმეტმა აქტიურობამ ის შედეგი გამოიღო, რომ მან თათი დაიზიანა. ლობომ ის ვეტერინართან მიიყვანა, სპეციალისტმა კი უთხრა, რომ ტიტო შინაური კატა სულაც არ იყო. გოგონამ ცხოველის ფოტოსურათი კიდევ რამდენიმე სპეციალისტს უჩვენა, ბოლოს კი ცხოველთა ექსპერტს დაუკავშირდა, რომელმაც დაუდასტურა, რომ მისი ტიტო პუმის ბოკვერი იყო.

გოგონამ პატარა ცხოველი არგენტინის ცხოველთა დაცვის ფონდს გადასცა. ფონდის სპეციალისტები ტიტოს უმკურნალებენ და თათის მორჩენის შემდეგ ბუნებაში დააბრუნებენ.

# მამაკაცი 300 ღორს პირდება მას, ვინც მის ქალიშვილზე იქორწინებს

ჩინეთის პროვინცია ხენანში გოგონას მამა მინიმუმ 300 ღორის მიცემას ჰპირდება მას, ვინც მის ერთადერთ ქალიშვილზე იქორწინებს.



სამი წლის წინ 24 წლის ჩჟან ჩჟიუანმა უნივერსიტეტი დაამთავრა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, რათა მისი ოჯახის ფერმაში ორი ათასი ღორი გამოეზარდა. გოგონა მათ კვებავს და ყურადღებას აქცევს, რომ ყველაფერი წესრიგში იყოს. დილით ღორის ხორცს ბაზარში ყიდის.

— ხალხი ფიქრობს, რომ ღორების მოვლა ღირსეულ სამუშაოს არ წარმოადგენს და მას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება. ეს ასე არ არის, ჩემ საქმეში უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას ვიყენებ, — ამბობს გოგონა.

მისი თქმით, მშობლებსა და მის დებს მისი ღორების ფერმაში მუშაობა არ მოსწონთ. ისინი თვლიან, რომ განათლებული გოგონა მეგაპოლისში უნდა გადავიდეს და იქ მაღალანაზღაურებადი თანამდებობა დაიკავოს. ამ ყოველივეს მიუხედავად, ჩჟანი ფერმაში დარჩენას და იქ მუშაობის გაგრძელებას აპირებს.

გოგონას მომავალ საქმროს, მისი ოჯახის წევრები მაღალ მოთხოვნილებებს არ უყენებენ. მათთვის საკმარისი იქნება, თუ მამაკაცი ღორის წონის თუნდაც ნახევრის აწევას შეძლებს. ამავე დროს გოგონა, მიუხედავად მამამისის შიშისა, მამაკაცების მხრიდან უყურადღებობას სულაც არ უჩივის და უამრავ ქათინაურსა და სიყვარულის ახსნას იღებს.

# დაკარგული ბეჭედი პლაჟზე ნახევარი საუკუნის შემდეგ იპოვეს



ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა ბეჭედი სასწავლებლის დამთავრების დღეს დაკარგა და 49 წლის შემდეგ იპოვა.

კენეტ ბორდმა ობურნდეილის საშუალო სკოლა 1970 წელს დაამთავრა. გამოსაშვები საღამოს დროს ბეჭედი სკოლის ახლოს მდებარე პლაჟზე დაკარგა, თუმცა მისი დაკარგვა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო. 1971 წელს მამაკაცმა ზუსტად ისეთივე ბეჭედი იყიდა, თუმცა მალე ისიც დაეკარგა.

ორი კვირის წინ ამერიკელი ჯერი პოუპი პლაჟზე საძიებო სამუშაოებს ლითონის მაძიებელი მოწყობილობით ატარებდა. იქ ქვიშით დაფარულ ბეჭედს მიაგნო. მან ნივთს სურათი გადაუღო და ფოტო ფეისბუქში თავისი მეგობრის გვერდზე განათავსა.

ბეჭდის ფოტოსურათი შემთხვევით ობურნდეილის საშუალო სკოლის კოორდინატორმა ჯეიკ უაიტმა ნახა. ბეჭედზე ამოტვიფრული ინიციალებით მან გაარკვია, თუ ვის ეკუთვნოდა და ეს ინფორმაცია პოუპს შეატყობინა.

მალე პოუპი ბორდს შეხვდება და მის დაკარგულ ბეჭედს დაუბრუნებს.

# დათვმა სახლში შეაღწია და მამაკაცი დაგლიჯა

რუსეთის ირკუტსკის ოლქის ვიტიმსკის დასახლებაში დათვმა პენსიონერი მამაკაცი მოკლა.

66 წლის მამაკაცი სახანძრო ნაწილში მძღოლად მუშაობდა და დასახლების განაპირას სახლში მარტო ცხოვრობდა. მტაცებელმა ღამით სახლის ფანჯარა ჩაამტვრია, შიგნით შეაღწია და ადამიანს თავს დაესხა. შემთხვევის ადგილზე აღმოაჩინეს დათვის ნაკვალევი. სახიფათო ცხოველის სამძებრო ოპერაციაში თოფებით შეიარაღებული მონადირეები და ავტომატით შეიარაღებული პოლიციელები არიან ჩართულები.



დასახლების მცხოვრებლებს ადგილობრივი ხელისუფლება სიფრთხილისკენ მოუწოდებს.

ადგილობრივი ნაკრძალის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ მიმდინარე წელი ხილის და სოკოს მოსავლის ნაკლებობით გამოირჩეოდა და ამიტომ მტაცებელი საკვებისთვის დასახლებაში შესვლას არ ერიდება.

# დიდი შვიდეულის სამიტი კემპ დევიდში გაიმართება



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ დიდი შვიდეულის სამიტი არა ფლორიდაზე, არამედ კემპ დევიდში, მის რეზიდენციაში გაიმართება.

— ფლორიდა ბევრს არ მოეწონა. მეც მივიღე გადაწყვეტილება, რომ სამიტი კემპ დევიდში გაიმართოს, — თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტი წარსულში ხაზს უსვამდა, რომ დროა შვიდეული რვიანად გადაიქცეს და იქ რუსეთი მიიწვიონ. ახლა მან ამის თაობაზე არაფერი თქვა.

# პოლიციური ტერორი რუსეთში



რუსეთის სახელმწიფო დუმის ქვედა პალატამ პირველ კითხვაში მიიღო კანონი ე.წ. უცხო აგენტების შესახებ.

აგენტებად აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

თანახმად ახალი კანონისა, ე.წ. აგენტების მიმართ გათვალისწინებულია როგორც ჯარიმა, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც.

არასამთავრობოების მიმართ დუმამ კანონები ადრეც მიიღო, მაგრამ ახლა ჯარიმის ოდენობაც გაიზარდა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც შემოიღეს.

— პუტინის რეჟიმი აგონიაშია, ამიტომ ღია ტერორზე გადმოდის, — ამბობს რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლიუბა სობოლი.

# სისხლისღვრა ირანში



ირანში საპროტესტო აქციები არ ცხრება. მიზეზი საწვავზე ფასების მკვეთრი ზრდაა.

რიგ ქალაქებში მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა. ხელისუფლებამ პასუხად ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა.

დაიღუპა 250 ადამიანი. ზოგიერთ ცნობაში ნათქვამია, რომ 400-ზე მეტი მოქალაქეა დაღუპული.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# კიკბოქსიორი შეიარაღებულ მძარცველებს გაუმკლავდა

არგენტინეს დედაქალაქ ბუენოს-აირესში ორი მძარცველი კერძო სახლიდან ტელევიზორის მოპარვას შეეცადა, მაგრამ კრახი განიცადეს, ვინაიდან სახლის პატრონი კიკბოქსინგის ინსტრუქტორი აღმოჩნდა.



ორმა მამაკაცმა სახლში გვიან ღამით შეაღწია, როდესაც სახლის პატრონს, პროფესიონალ კიკბოქსინგის ინსტრუქტორ ალეანდრო ბოგაოს და მის მეუღლეს ეძინათ. მეზობლის ძაღლის ყეფის ხმაზე გაღვიძებულმა არგენტინელმა ბოროტმოქმედები იმ დროს შენიშნა, როდესაც ისინი სახლიდან მისი ტელევიზორის გატანას ცდილობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელები შეიარაღებულები იყვნენ, ბოგაომ ერთ-ერთი მათგანის დაკავება მოახერხა. მეორე მძარცველმა გაქცევა მოახერხა. სახლის პატრონი ბოროტმოქმედს მახრჩობელა ილეთით შემთხვევის ადგილზე პოლიციის მისვლამდე აკავებდა. დაპატიმრების შემდეგ ბოროტმოქმედმა განაცხადა, რომ მისი თანამზრახველი მისივე ბიძა ხუანი იყო, რომელიც იქვე, შორიახლოს ცხოვრობდა.

ბოგაოს თქმით, რომელიც კიკბოქსინგით ათი წლის ასაკიდანაა დაკავებული, თავს ბედნიერად გრძნობს იმის გამო, რომ ამ ინციდენტის დროს მისი ბავშვები სახლში არ იმყოფებოდნენ. მან დაიფიცა, რომ უეჭველად იპოვის მეორე მძარცველსაც და მეზობლებს მის მოსაძებნად გაერთიანებისკენ მოუწოდა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## განცხადებები

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, განკურნება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. განკურნება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების განკურნების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, განკურნება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე განკურნება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, განკურნება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ჯიჯი ბუფონი — ქვეყნის სიამაყე

იტალიელი მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი ბოლო დროს ხშირად ამბობს, რომ შესაძლოა, კარიერა დაასრულოს, დიდი ფეხბურთი არ ეთმობა. ჯიჯის ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება რამდენჯერმე გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ...

ლეგენდარულ მეკარეს ინტერვიუ გერმანულმა მედიამ ჩამოართვა.

***— იტალიის და გერმანიის ნაკრები გუნდების დაპირისპირებას უდიდესი ისტორია აქვს. მოდით, გაიხსენეთ ერთი მომენტი: 2006 წლის მუნდიალი, ნახევარფინალი, საფინალო სასტვენამდე 9 წუთია დარჩენილი და ერთი გერმანელი თქვენსკენ ბურთით მორბის...***

— დიახ, იმ მომენტს რა დამავიწყებს. პოდოლსკი იყო.

***— თქვენ მისი დარტყმა მოიგერიეთ. მერე იტალიამ გერმანიას 2 გოლი გაუტანა. იყო თუ არა ეს გადამწყვეტი მატჩი მსოფლიოს ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე?***

— ასეთ თამაშებში ყველა მომენტი გადამწყვეტია. ძალიან თანაბარი თამაში იყო, რომლის ბედი ბოლოს წვრილმანებმა გადაწყვიტა. იტალიის ნაკრებმა მაშინ, განსაკუთრებით ბოლო წუთებში, ძალიან თამამად ითამაშა. ჩვენმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ უაღრესად ჭკვიანური შეცვლები გააკეთა. იმ თამაშის მოგება აუცილებლად გვინდოდა. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ოდნავ უფრო მეტად გაგვიმართლა, ვიდრე გერმანიის ნაკრებს.

***— 2006 წლის მერე კიდევ იყო დრამატული მატჩები. მაგალითად, იტალიის მოგება (2:1) ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე, ბალოტელის დუბლით. მერე იყო გერმანიის გამარჯვება ევრო 2016-ზე, პენალტების სერიაში. რატომ გამოდის გერმანიის და იტალიის დუელები ასეთი განსაკუთრებული?***

— ჩვენ ერთმანეთთან ისტორია და გეოგრაფია გვაკავშირებს. როცა გერმანია იტალიას ხვდება, ერთმანეთს 2 უდიდესი საფეხბურთო ქვეყანა უპირისპირდება. ეს არის ისტორიული დუელი, რომელიც ყოველთვის უფრო მეტი იქნება, ვიდრე უბრალოდ საფეხბურთო მატჩი.

***— გარი ლინეკერს ნათქვამი აქვს, საფეხბურთო მატჩი 90 წუთი გრძელდება, მაგრამ ბოლოს ყოველთვის გერმანელები იგებენო. ეს ფრაზა შეიძლება იტალიაზეც ითქვას — ბოლოს სულ თქვენ იგებთ ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, გერმანიასთან. თუმცა 2016 წელს გერმანიას ვეღარ მოუგეთ. რატომ? და კიდევ უფრო უარესი: როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ისე, რომ იტალიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვა?***

— აქამდე ყოველთვის ასე იყო — წარმატებას წარუმატებლობა მოყვება ხოლმე და პირიქით. 2010 წლის მუნდიალზე საშინლად ვითამაშეთ. მერე, 2012-ში უკვე ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავედით. 2014 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ისევ დიდი სირცხვილი ვჭამეთ და ჯგუფში ჩავრჩით. მერე კი, ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე ისევ კარგად ვითამაშეთ და გერმანიასთან მხოლოდ პენალტების სერიაში წავაგეთ. იტალიელი ფეხბურთელის დნმ არ იცვლება – ჩვენ ისევ შეგვიძლია ბრძოლა და დიდი ვნებით თამაში. უბრალოდ, ტალანტი დაგვაკლდა. და როცა ტალანტები გაკლია, მხოლოდ ბრძოლის ჟინი და ტაქტიკური განსწავლულობა საკმარისი აღარ არის.



***— ჰო, აღარ გყავთ ბაჯო, დელ პიერო, ტოტი, პირლო...***

— დაახლოებით 10 წლის წინ ასეთი შესანიშნავი ფეხბურთელები ჯერ კიდევ გვყავდა. სამწუხაროდ, ის დრო წარსულს ჩაბარდა. რთული პერიოდი გვაქვს. 1997 წელს, როცა იტალიის ნაკრებში პირველად გამოვჩნდი, მწვრთნელსა და ფეხბურთელებს ერთმანეთში ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, როგორიც ქარხნის დირექტორს და მუშებს აქვთ ხოლმე. მას მერე ბევრ დრო გავიდა და ყველაფერი შეიცვალა. მგონია, რომ ეს კარგია.

***— ბოლო დროს ხშირად ვხედავთ თქვენს ცრემლებს. მაგალითად, ევრო 2016-ზე, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ, შვედეთთან მატჩის შემდეგ... ხომ არ ნანობთ, კარიერა უფრო ადრე რომ არ დაასრულეთ?***

— ოდნავადაც არ ვნანობ! თითქმის 41 წლის ვარ და ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რასაც ვაკეთებ. მიხარია, რომ ჩემზე ყველა მხოლოდ კარგს ამბობს.

***— რამდენად მნიშვნელოვანი იყო პირადად თქვენთვის ის ფაქტი, რომ მეექვსე მუნდიალზე უნდა გეთამაშათ და აბსოლუტურ რეკორდს ამყარებდით, თვით ლოთარ მათეუსსაც კი აჯობებდით?***

— ეს იქნებოდა რეკორდი, რომელიც ძალიან გამახარებდა. ამით ჩემი კარიერა მართლაც იდეალურად დასრულდებოდა, მაგრამ ამაზე დიდი ტკივილი ის არის, რომ იტალია, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საფეხბურთო ქვეყანა, სადაც სპორტის ეს სახეობა სიგიჟემდე უყვართ, მუნდიალის გარეშე რჩება. ეს უფრო დიდი ტკივილია, ვიდრე ჩემი რეკორდით გამოწვეული სიხარული იქნებოდა... მინდა, ჩერჩილის სიტყვები გაგახსენოთ: მან თქვა, იტალიელები ომში ისე იქცევიან, თითქოს ეს უბრალოდ საფეხბურთო მატჩი იყოს, ფეხბურთს კი ისე თამაშობენ, თითქოს ომში არიანო. ეს შესანიშნავი სიტყვებია და ზუსტად გამოხატავს იტალიელი ფეხბურთელის მატჩისადმი მიდგომას. არ დამავიწყდება, რა დღეში ვიყავი ბავშვობაში, როცა მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატი იწყებოდა. დიდი სანაკრებო ტურნირების დროს, იტალიაში ყველა ერთიანდება — ნეაპოლელები, ინტერისტები და იუვენტინოები უცებ მეგობრები ხდებიან ხოლმე.

***— ამბობენ, ფეხბურთი ერთადერთია, რაც ჩრდილოეთ და სამხრეთ იტალიელებს აერთიანებსო.***

— ჰო, ეს მეც გამიგია. ამიტომაც ვინანებ შვედეთთან წარუმატებლობას ცხოვრების ბოლომდე. ჩვენ იტალიელ ბავშვებს წავართვით იმის შესაძლებლობა, რომ ზაფხულში ფეხბურთით ეცხოვრათ. თუმცა ჯერ მაინც ვერ ვგრძნობთ, რა დავაშავეთ. აი, ზაფხული რომ მოვა და მუნდიალი დაიწყება, მაშინ მივხვდებით, რა გავაფუჭეთ. მინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დროს სადმე გადავიკარგო და არსად გამოვჩნდე. თავს მხოლოდ მაშინ გამოვყოფ, როცა მუნდიალის ფინალი დასრულდება.

***— ჯიჯი ბუფონი — ქვეყნის სიამაყე. ასეთი წარწერა იყო რამდენიმე სტადიონზე გამოფენილ ბანერზე.***

— ასეთი რაღაცები ძალიან მეამაყება. იმიტომ, რომ ეს ჩემ მიერ განვლილი გზის დაფასებაა. ჩემთვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ვყოფილიყავი არა მარტო კარგი ფეხბურთელი, არამედ კარგი ადამიანიც. ხალხი არაფერს გაჩუქებს, ცხოვრება არაფერს მოგართმევს ლანგრით — ადამიანები ასეთ სიტყვებს ჰაერზე არ ისვრიან.

***— მილანში, „სან სიროზე“ შვედეთის ჰიმნს უსტვინეს. თქვენ პირველი იყავით, ვინც ტაშის დაკვრა დაიწყო და სტვენის გადაფარვას შეეცადა. რატომ ხდება ასეთი რამ იტალიაში?***

— ჰიმნი... ყველა ქვეყანამ დაწერა საკუთარი ისტორია — ბრძოლებით, ომებით, სისხლით. ქვეყნის ჰიმნს პატივი უნდა სცე! მე მგონია, რომ ჩვენ, იტალიელები, ერთმანეთსაც კი არ ვცემთ პატივს ისე, როგორც საჭიროა. ეს რომ შეგვეძლოს, გაცილებით მეტს მივაღწევდით. გაცილებით უკეთესი ქვეყანა და ერი ვიქნებოდით. სინამდვილეში, საკმაოდ ხალისიანი, კაცთმოყვარე და სტუმართმოყვარე ერი ვართ. ამიტომაც მწყდება ხოლმე გული, როცა ვხედავ, რომ სხვა ქვეყნის ჰიმნს უსტვენენ. ეს უდიდესი უკულტურობაა! არც მე ვარ უფრთო ანგელოზი. ბავშვობაში მეც ვიდექი ტიფოზებთან ერთად და მეც მიმღერია მოწინააღმდეგის შეურაცხმყოფელი სიმღერები. ასე რომ, კარგად ვიცი, რაზეც ვლაპარაკობ.

***— ალბერ კამიუმ თქვა, ყველაფერი, რაც მორალის და ვალდებულებების შესახებ ვიცი, ფეხბურთმა მასწავლაო.***

— ფეხბურთმა წარმოუდგენლად ბევრი რამ მასწავლა. ფეხბურთი ყველა დროის საუკეთესო თამაშია და ყოველთვის ასე იქნება.

***— გერმანიაში გყავთ ფავორიტი გუნდი?***

— მახსოვს, ბავშვობაში ბუნდესლიგაში მიონხენგლადბახის ბორუსიას ვქომაგობდი. იუვენტუსი გლადბახს შეხვდა. მიონხენგლადბახელმა ფანებმა არ იცოდნენ, რომ გერმანიაში ყველაზე მეტად მათი გუნდი მიყვარს და როცა მათთან მივედი და კაშნე ვთხოვე, მიმითითეს, აქედან დაიკარგეო. მეც წავედი, მაგრამ მერე გასახდელში ფან-კლუბის უფროსი შემოვიდა, ბოდიში მომიხადა და გლადბახის კაშნე მაჩუქა. არ მწყენია, რადგან ვიცოდი, რომ მათ არ იცოდნენ...

***— 175 მატჩი ნაკრებში და 1.000-ზე მეტი მატჩი საერთო ჯამში. მიუხედავად იმისა, რომ 40-ს გადაშორდით, ძალიან კარგ ფიზიკურ ფორმაში ხართ. როგორ ახერხებთ ამას?***

— ამას იმით ვახერხებ, რომ ყოველთვის ამაზე ვფიქრობ. უბრალოდ, ნამდვილი პროფესიონალივით უნდა იცხოვრო.

***— ამ დროს კი წითელი ღვინის რეკლამაში გადაგიღეს.***

— ყველაფერი დასაშვებია, ოღონდ ნორმის ფარგლებში. ღვინოსაც სიამოვნებით ვსვამ და ხანდახან სიგარასაც ვაბოლებ ხოლმე. კვირაში ორჯერ, 2-2 ჭიქა წითელი ღვინო პრობლემა არ არის. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, მეორე დღეს ნახევარი საათით მეტი უნდა ივარჯიშო. ეს არის და ეს.

***— რა არის იუვენტუსის წარმატების საიდუმლო?***

— იუვენტუსს აქვს ღირებულებები, რომლებიც თაობებს გადაეცემა. მთავარი მამოძრავებელი ძალა მფლობელები არიან — ანიელების ოჯახი.

***— ანუ, მაგალითად, სამი ხედირა გადმოდის იუვეში და მეორე დღეს უკვე იუვენტუსის გენები გადაეცემა?***

— მთლად ასე არ არის. იუვენტუსში პირველი თვეები ძალიან რთულია ხოლმე. კარგად მახსოვს 2001 წელი, როცა ტურინში პარმადან გადავედი. პირველ თვეებში მეგონა, რომ სხვა სამყაროში მოვხვდი. მინდოდა, გამეგო, მე ვიყავი უცხო პლანეტელი თუ ეს გუნდი. იუვენტუსში ყველაფერი განსაკუთრებულია — საქმისადმი მიდგომა, ვარჯიში, ფანები, ქალაქი. იუვეს არასდროს გადაუხდია ფეხბურთელებში ისეთი ასტრონომიული თანხები, როგორც რეალი და ბარსელონა იხდიან ხოლმე. და მიუხედავად ამისა, იუვე ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე დგას.

***— ზინედინ ზიდანზე რას გვეტყვით? 20 წელზე მეტია, იცნობთ.***

— ჩვენ ერთმანეთს უდიდეს პატივს ვცემთ. რა თქმა უნდა, კარგად მახსოვს 2006 წლის მუნდიალის ფინალში მომხდარი ფაქტი. ზიდანმა მატერაცის თავი რომ ჩაარტყა, ეს იმდენად დიდი შოკი იყო, რომ მეც კი ვერ შევძლებდი ამაზე თვალის დახუჭვას. მაგრამ ცხოვრებაში მინიმუმ ერთხელ, ასეთი რამ ყველას ემართება. ზიდანი ძალიან კარგი ადამიანია.

***— მატერაცისთვის არასდროს გიკითხავთ, რა უთხრა ზიდანს?***

— არა. იმიტომ, რომ არ მაინტერესებს.

***— კიდევ რა მიზნები გაქვთ?***

— იუვენტუსთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება მინდა.

## შედეგები

### 3 დეკემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

კრ.პალასი-ბორნმუთი ..................... 1:0

ბარნლი-სიტი ..................................... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 14 | 13 | 1 | 0 | 32-12 | 40 |
| 2.სიტი | 15 | 10 | 2 | 3 | 43-17 | 32 |
| 3.ლესტერი | 14 | 10 | 2 | 2 | 33-9 | 32 |
| 4.ჩელსი | 14 | 8 | 2 | 4 | 28-20 | 26 |
| 5.კრ.პალასი | 15 | 6 | 3 | 6 | 14-18 | 21 |
| 6.ტოტენჰემი | 14 | 5 | 5 | 4 | 24-21 | 20 |
| 7.ვულვზი | 14 | 4 | 8 | 2 | 19-17 | 20 |
| 8.შეფილდი | 14 | 4 | 7 | 3 | 17-13 | 19 |
| 9.არსენალი | 14 | 4 | 7 | 3 | 20-21 | 19 |
| 10.მანჩესტერი | 14 | 4 | 6 | 4 | 20-17 | 18 |
| 11.ბარნლი | 15 | 5 | 3 | 7 | 21-24 | 18 |
| 12.ბორნმუთი | 15 | 4 | 4 | 7 | 18-21 | 16 |
| 13.ვესტ ჰემი | 14 | 4 | 4 | 6 | 17-23 | 16 |
| 14.ნიუკასლი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-22 | 16 |
| 15.ასტონ ვილა | 14 | 4 | 3 | 7 | 21-22 | 15 |
| 16.ბრაიტონი | 14 | 4 | 3 | 7 | 16-21 | 15 |
| 17.ევერტონი | 14 | 4 | 2 | 8 | 14-22 | 14 |
| 18.საუთჰემპტონი | 14 | 3 | 3 | 8 | 15-32 | 12 |
| 19.ნორვიჩი | 14 | 3 | 2 | 9 | 15-30 | 11 |
| 20.უოტფორდი | 14 | 1 | 5 | 8 | 9-28 | 8 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ანჟე-მარსელი ..................................... 0:2

ბორდო-ნიმი ........................................ 6:0

ბრესტი-სტრასბური ........................... 5:0

ლიონი-ლილი ...................................... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 11 | 0 | 3 | 30-8 | 33 |
| 2.მარსელი | 16 | 9 | 4 | 3 | 22-12 | 31 |
| 3.ბორდო | 16 | 7 | 5 | 4 | 27-17 | 26 |
| 4.ლილი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-15 | 25 |
| 5.ანჟე | 16 | 7 | 3 | 6 | 19-21 | 24 |
| 6.მონპელიე | 15 | 6 | 5 | 4 | 18-12 | 23 |
| 7.ნანტი | 15 | 7 | 2 | 5 | 14-14 | 23 |
| 8.ლიონი | 16 | 6 | 4 | 6 | 24-16 | 22 |
| 9.სტ.ეტიენი | 15 | 6 | 4 | 5 | 16-19 | 22 |
| 10.რენი | 14 | 6 | 3 | 5 | 19-16 | 21 |
| 11.რეიმსი | 15 | 5 | 6 | 4 | 11-8 | 21 |
| 12.ბრესტი | 16 | 5 | 6 | 5 | 21-19 | 21 |
| 13.ნიცა | 15 | 6 | 2 | 7 | 20-22 | 20 |
| 14.სტრასბური | 16 | 5 | 3 | 8 | 16-21 | 18 |
| 15.მონაკო | 14 | 5 | 3 | 6 | 21-24 | 18 |
| 16.ამიენი | 15 | 4 | 4 | 7 | 19-28 | 16 |
| 17.მეცი | 15 | 3 | 6 | 6 | 13-20 | 15 |
| 18.დიჟონი | 15 | 4 | 3 | 8 | 9-16 | 15 |
| 19.ნიმი | 15 | 2 | 6 | 7 | 12-24 | 12 |
| 20.ტულუზა | 15 | 3 | 3 | 9 | 16-29 | 12 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ლე მანი .............................. 2:0

გრენობლი-კლერმონი ..................... 1:1

ლანსი-შამბლი ................................... 3:0

ნიორი-აიაჩო ...................................... 0:1

ორლეანი-ლორიანი ......................... 0:4

ოსერი-ვალანსიენი .......................... 1:1

ტრუა-როდეზი ................................... 1:0

პარიზი-გენგამი ................................. 0:3

შატორუ-სოშო .................................. 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## გამორჩენილი კაცის სახელოვანი იუბილე

სრულიად საქართველოს საისტორიო საზოგადოებრიობა გულითადად ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს

### როინ მეტრეველს

სახელოვან იუბილეს და ჩვენც გვსურს ჩვენი ხმა შევუერთოთ ამ გულწრფელ მილოცვებს.

მარტო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნა-გამოცემაზე გაწეული უდიდესი ძალისხმევა რად ღირს! ურთულეს და დრამატულ წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და მისი გადარჩენა! საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაუსაძლისი პირობებიდან გამოსაყვანად გადადგმული მისი არაერთი ქმედითი ნაბიჯი! — ეს ხომ მხოლოდ უმნიშვნელო ჩამონათვალია მისი მრავალმხრივი ღვაწლის.

და შედეგებიც სახეზეა — თითქოს განგებ, გამომცემლობა „პალიტრა L“-მა მკითხველს სწორედ ამ საიუბილეო დღეებში მიაწოდა საქართველოში ასე პოპულარული „საქართველოს ისტორია“ (ოთხტომეული), უკვე აკად. რ. მეტრეველის ხელმძღვანელობით გადამუშავებული ვარიანტის I ტომი. მკითხველი საზოგადოება ახლო მომავალში მიიღებს აკად. რ. მეტრეველის ხელმძღვანელობით ისტორიკოსთა ჯგუფის მიერ მომზადებულ „კავკასიის ისტორიის“ ორტომეულს... არის კიდევ სხვა გეგმები, ახალი ამოცანები...

ჩვენ კი მხოლოდ რკინისებრ ჯანმრთელობას, დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს და გაუნელებელ ადამიანურ სიხარულს ვუსურვებთ ბატონ როინ მეტრეველს, კაცს, რომელმაც ბევრიც შეძლო და უკვე ასე ბევრიც გააკეთა.

*ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა სახელით,*

*აკად. დავით მუსხელიშვილი,*

*პროფ ალექსანდრე დაუშვილი*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მგალობელი ჩიტი; 2. ჩინური ნავთობკომპანია; 3. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 4. კომბინაცია პოკერში; 5. ქართველი ასტროლოგი; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. აეროპორტი თელ-ავივში; 13. კარლ მარქსის ფუნდამენტური თხზულება; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა გაერთიანება ისრაელში; 16. გულადი, ყოჩაღი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 18. ქართული მოკლე უვადო ხმალი; 20. აეროპორტი პარიზში.

**თარაზულად:** 6. სამხრეთ აფრიკაში მოპოვებული მსოფლიოში ყველაზე დიდი ალმასი; 7. ქართველი მოდელიორი მამაკაცი; 8. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. მდინარის ძვირფასი სარეწაო თევზი; 10. ქართული აგროსამრეწველო ფირმა; 11. ფეხბურთის ცნობილი ქართველი მწვრთნელი; 15. შტატი აშშ-ში; 17. დეკორატიული სტილი ევროპულ არქიტექტურაში; 19. ცოცხალი ორგანიზმის უჯრედების შემსწავლელი მეცნიერება; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. კეთილხმოვანების დარღვევა, ბგერათა არაჰარმონიული ჟღერადობა; 23. მთიანეთი აზიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. კლინიკა; 2. ბაგეტი; 3. ქუჩაბანდი; 4. ყაბახი; 5. გრიმალდი; 7. იენი; 11. ნებიერი; 13. ბავარია; 15. ზესხო; 16. საქსი; 18. დრაჟე; 19. დუბაი.

**თარაზულად**: 6. ლომისა; 8. ზანდური; 9. ამბიცია; 10. ინდიანა; 12. ჰიჯრა; 14. პირელი; 17. დივიდენდი; 20. სპეკალი; 21. ჩხოუში; 22. ჟაკარი; 23. რიტორიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ოპიზარი; 2. ნიშადური; 3. წიწაკა; 4. ჭინკა; 5. ტარიბანა; 8. კადილაკი; 12. როტა; 13. ტერაკოტა; 14. აბზაცი; 16. კალიარი; 18. მატიე; 20. იაგო.

**თარაზულად**: 6. აპატრიდი; 7. გლიპტიკა; 8. კოდაკი; 9. გაყრა; 10. კუროსავა; 11. ვიბრაცია; 15. შერეკილები; 17. საჰარა; 19. ცოლიკაური; 21. კობალტი; 22. ბარომეტრი; 23. კონფუცი.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 დეკემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9573

ევრო — 3.2746

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8572

100 რუსული რუბლი — 4.6174;

## ამინდის პროგნოზი 5 დეკემბერი







## 3 დეკემბრიდან

### წიგნი I-II

## რჩეული საბავშვო მოთხრობები

რჩეული მოთხრობების ორტომეული მოიცავს ქართველი მწერლების საბავშვო ნაწარმოებებს. წიგნში შესულია 46 ავტორის 184 ნაწარმოები. ტექსტს ყველგან ახლავს რუბრიკა „სიტყვის არსი", რომელშიც ლექსიკონის სახით განმარტებულია ყმაწვილებისათვის უცნობი, გაუგებარი ან ნაკლებად გასაგები სიტყვები და ფრაზები.

## ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი

## ნინო ანანიაშვილს პროფესორის წოდება მიანიჭეს



ქართველ პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილს პროფესორის წოდება მიანიჭეს.

პეკინის ცეკვის აკადემიამ ნინო ანანიაშვილს აკადემიის პროფესორის წოდება პეკინში მიანიჭა. საზეიმო ცერემონიალი სწორედ მაშინ შედგა, როდესაც ჩინეთში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი გასტროლით იმყოფებოდა. ნინო ანანიაშვილმა აკადემიაში მასტერკლასები ჩაატარა.

პეკინის ცეკვის აკადემიასთან ნინო ანანიშვილი 2012 წლიდან თანამშრომლობს. აკადემიის სტუდენტებისთვის პრიმა-ბალერინამ ჩაიკოვსკის „მაკნატუნას" სუიტა და „შოპენიანა" დადგა.

## აჩიკო სოლოღაშვილი და თიკა ფაცაცია ახალ შოუს წაიყვანენ




მსახიობი აჩიკო სოლოღაშვილი და მომღერალი თიკა ფაცაცია ახალ მუსიკალურ შოუს წაიყვანენ.

„არ გაჩერდე!" – ასე ეწოდება შოუს, რომელშიც მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია.

პირველი გადაცემა 6 დეკემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ეთერში გავა.

გადაცემაში მონაწილესთვის მთავარია იცოდეს სიმღერის ტექსტი და არა მელოდია, რათა 1500 ლარი მოიგოს.

## ნათელა მაჭავარიანს ვარსკვლავს გაუხსნიან




მსახიობ ნათელა მაჭავარიანს 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვარსკვლავს გაუხსნიან.

18 დეკემბერს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზე ნათელა მაჭავარიანის შემოქმედებითი საღამო გაიმართება. საღამოს დასრულების შემდეგ კი თეატრის წინ მისი ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნება.

ნათელა მაჭავარიანის მიერ შექმნილი სახასიათო, დრამატული სახეები კარგად ახსოვს უფროსი თაობის მაყურებელს. მსახიობი წლების განმავლობაში ქართული მოზარდის ტრავესტი გახლდათ. იგი თამაშობდა როგორც ქალის, ასევე მამაკაცის როლებს.

თემურ ჩხეიძე, შალვა გაწერელია, ნანა ხატისკაცი, ნანა კვასხვაძე, ანდრო ენუქიძე, დიმიტრი ხვთისიაშვილი – ეს იმ რეჟისორების არასრული ჩამონათვალია, რომლებთანაც ნათელა მაჭავარიანმა წლების განმავლობაში იმუშავა.

მისი ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი ამ თეატრში არის რეჟისორ დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „ირინეს ბედნიერება", სადაც ეკას როლი ითამაშა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

მამაკაცი კბილის ექიმს ეკითხება:

– ექიმო, რა დაჯდება სიბრძნის კბილის ამოღება?

– 80 ლარი.

– ძვირია, უფრო იაფად არ შეიძლება?

– ნარკოზის გარეშე 60 ლარი.

– მაინც ძვირია, უფრო იაფად?

– უნარკოზოდ და უბრალოდ ბრტყელტუჩათი 40 ლარი.

– და უფრო იაფად?

– უნარკოზოდ, ბრტყელტუჩათი და თანაც თუ ამას ჩემი პრაქტიკანტი გააკეთებს, მაშინ 20 ლარი.

– ძალიან, კარგი, ოთხშაბათისთვის ჩემი სიდედრი ჩაწერეთ!

•••

ცოლ-ქმარი საწოლში. ცოლი ეუბნება:

– ძვირფასო, წინ, მასე წინ, ცოტა მარცხნივ, ახლა მკვეთრად უკან!

ქმარი:

– ვერ გავიგე, სექსი გვაქვს თუ მანქანას ვაჩერებთ?

•••

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– მოდი, ჩვენ ურთიერთობაზე მაშინ ვილაპარაკოთ, როდესაც ფხიზელი იქნები.

– შენ რა გინდა, რომ ჩვენ ურთიერთობებში გაურკვევლად დაბერდე და მოკვდე.

•••

ქმარმა მეგობრები სახლში დაპატიჟა და „კარტის" თამაში გააჩაღეს. დილის ხუთ საათზე შეწუხებული ცოლი ოთახში შეიჭრა და ქმარს დაუყვირა:

– ჩემ სახლში ეს როდემდე უნდა გაგრძელდეს?!

– ძვირფასო, ნუ ყვირი, ეს სახლი ჩვენი უკვე აღარ არის...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კრიშტიანო რონალდუს იტალიაში აკრიტიკებენ



ბოლო ერთი თვეა, კრიშტიანო რონალდუ ვერ აჩვენებს იმ თამაშს, რასაც მისგან ელის გულშემატკივარი, ამიტომ მას სულ უფრო მეტი კრიტიკოსი გამოუჩნდა.

კრიშტიანო იუვენტუსის ყოფილმა ფორვარდმა ნიკოლო ამორუზომ გააკრიტიკა და თქვა, რომ პორტუგალიელი არ არის ოპტიმალურ ფორმაში:

– ერთი თვეა უკვე, რონალდუ მოედანზე დაბორიალობს და არაფერს აკეთებს. ვფიქრობ, ეს ასაკის ბრალია და მან უფრო მეტი უნდა დაისვენოს. მესმის, რომ რონალდუს მართვა რთულია, მაგრამ მწვრთნელმა ეს უნდა მოახერხოს.

## პოჩეტინო: „ფეხბურთში მალე დავბრუნდები"



ტოტენჰემის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ფეხბურთში მალე დაბრუნდება, რადგან უსაქმოდ ყოფნა არ უყვარს. პოჩეტინოს ჯერჯერობით არ დაუსახელებია კონკრეტული გუნდი, მაგრამ მან თქვა, რომ ის მხოლოდ ამბიციურ კლუბებში იმუშავებს:

– ფეხბურთი ძალიან მიყვარს და მის გარეშე ყოფნას არ ვაპირებ. ცოტა ხნით დავისვენებ და შემდეგ ფეხბურთში აუცილებლად დავბრუნდები, რადგან მინდა, რომ ახალი გამოწვევა მივიღო. კონკრეტულ გუნდებზე საუბრისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ".

## მესი: „ბარსელონადან წასვლას არასოდეს განვიხილავდი"



ბარსელონას ვარსკვლავმა ლიონელ მესიმ, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მეექვსე ოქროს ბურთი მოიგო, განაცხადა, რომ ის გუნდიდან წასვლას არასოდეს განიხილავდა და სურს, რომ კარიერა ბარსელონაში დაასრულოს:

– ყოველთვის ვამბობდი, რომ ბარსელონაში მსურდა თამაში და ეს ყველა გუნდს კარგად ესმის, ამიტომ ისინი ვერ გადამიბირებენ. ბარსელონამ ყველაფერი მომცა, რაც მაქვს და ამ გუნდის მადლიერი ყოველთვის ვიქნები. აქ ჩემი სახლია და გულშემატკივრებს კიდევ არაერთხელ გავახარებთ.

## მოურინიო: „მანჩესტერ იუნაიტედი არ მეზიზღება"



ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ თავის ყოფილ გუნდზე მანჩესტერ იუნაიტედზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ამ გუნდში ბედნიერი იყო და არავითარი ნეგატიური გრძნობები არა აქვს:

– მანჩესტერ იუნაიტედში საკმაოდ ბევრს მივაღწიე და ამ გუნდზე ცუდი მოგონებები არ მაქვს. დღეს ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელი ვარ და ჩემი მოვალეობაა, რომ მხოლოდ ტოტენჰემზე ვიფიქრო. იუნაიტედში მუშაობას არ ვნანობ და ამ გუნდს წარმატებას ვუსურვებ.

## ზლატანმა იტალიაში დაბრუნება დაადასტურა



ზლატან იბრაჰიმოვიჩმა თავის ინსტაგრამ გვერდზე დაწერა: „მალე შევხვდებით იტალიაში". ამით მან დაადასტურა ის ინფორმაცია, რომ კარიერას მილანში გააგრძელებს.

იბრაჰიმოვიჩი ამ გუნდში უკვე თამაშობდა და 2011 წელს იტალიის ჩემპიონატიც მოიგო. შვედმა ფეხბურთელმა ნოემბერში განაცხადა, რომ მას ევროპაში სურდა დაბრუნება და კვლავ მაღალ დონეზე თამაში.

იბრაჰიმოვიჩი უკვე 38 წლის არის, მაგრამ ჯერჯერობით კარიერის დასრულებაზე არ ფიქრობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## საქართველო რუსეთთან – ასაკობრივებს წილი უყარეს

ნიონში ასაკობრივი ნაკრებების ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდის წილისყრა გაიმართა. საქართველოს 19 წლამდე ნაკრები მე-3 ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად რუსეთის, საფრანგეთის და შოტლანდიის ნაკრებები ეყოლება.

ელიტ რაუნდის შეხვედრები საფრანგეთში გაიმართება. ელიტ რაუნდიდან ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებას მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული მოიპოვებს.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, ტურნირი 2020 წლის 19 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ჩრდილოეთ ირლანდია უმასპინძლებს.

საქართველო 17 წლამდელ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდშიც არის. გიორგი ჩიტაურის გუნდი მე-6 ჯგუფში მოხვდა ინგლისის, ბელგიისა და რუმინეთის ნაკრებებთან ერთად. მატჩები 25, 28 და 31 მარტს ბელგიაში გაიმართება.



ელიტ რაუნდიდან ფინალურ ეტაპზე 15 ნაკრები გადის, რომელთაც მასპინძელი ესტონეთი დაემატება. ასე რომ, ფინალურ ეტაპზე 8 ჯგუფის გამარჯვებული და 7 საუკეთესო მეორეადგილოსანი გავა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები პირველი საკვალიფიკაციო წრიდან ელიტ რაუნდში ისე გავიდა, რომ გოლი არ გაუტანია (საუკეთესო მესამეადგილოსნის სტატუსით).

მომდევნო, 2021 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ვთქვათ. მატჩები გაისად, 2020 წლის შემოდგომაზე ჩატარდება. ზურაბ ხიზანიშვილის გაწვრთნილი 17-წლამდე ნაკრების მეტოქეები ბელგია, უკრაინა და ლიეტუვა იქნებიან. ჯგუფს თბილისი უმასპინძლებს. გიორგი მიქაძის 19-წლამდელები კი ხორვატიაში გაემგზავრებიან და მასპინძელთა გარდა, ლატვიასა და ყაზახეთს შეხვდებიან.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ასტროპროგნოზი

### 5 დეკემბრისათვის



**ვერძი** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **კურო** – შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. შრომა გიფასდებათ. ბედს არ ემდურით. **ტყუპები** – აგრესიულობა და თავშეუკავებლობა მატერიალურად დაგაზარალებთ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნუ გამოჩნდებით. **კირჩხიბი** – მეგობრებისგან დახმარება გჭირდებათ. თავს ზედმეტად ნუ დაიფასებთ. **ლომი** – ინფორმაციის არასათანადო შეფასება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას სიფხიზლე გმართებთ. პატარა შეცდომაც კი სავალალო იქნება. **სასწორი** – ფასეულობების გადაფასების დროა. ახალი იდეების განხორციელება მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. ენერგიულობისა და ოპტიმიზმის წყალობით საქმეებს თავს წარმატებით გაართმევთ. **მშვილდოსანი** – ახალგაცნობილ ადამიანებს გულისნადებს ნუ გაუმხელთ. იკვებეთ ჯანსაღად. **თხის რქა** – საყვარელ ადამიანს გულს ნუ ატკენთ. თავქარიანობა და ფუქსავატობა საქმეს გაგიფუჭებთ. **მერწყული** – საქმე დიდი ყურადღებით აკეთეთ. გაითვალისწინეთ გარშემომყოფთა ინტერესებიც. **თევზები** – ოცნების კოშკებს ნუ ააგებთ. რეალური საქმით დაკავდით. ჯანმრთელობას მიხედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სპილენძის შენადნობი კალასა და ტყვიასთან. 2. დამატებითი ჯილდო, პრემია; 3. ჩინელებით დასახლებული ქალაქის უბნების სახელწოდება აშშ-ში; 4. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად; 5. ავსტრალიის ძველი დედაქალაქი; 7. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ტირანი, მტარვალი, თვითნება ადამიანი; 13. ნაკლოვანება, ხარვეზი; 15. სპირტიანი სასმელი; 16. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 18. ოქრო-ვერცხლით მორთული ცხენის აღვირი; 19. სითხის საქაჩი მექანიზმი.

**თარაზულად:** 6. თავსატეხი-გამოცანა; 8. ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 9. წმინდა ოქრო; 10. გულადი, ყოჩაღი მამაკაცის ძველებური სახელწოდება; 12. ოპერა „რიგოლეტოს" პერსონაჟი; 14. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირი; 17. ეგვიპტის დედოფალი; 20. მრავალდღიანი ველორბოლის დასაწყისი; 21. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 22. ტაივანის დედაქალაქი; 23. უეფას პრეზიდენტი.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*